

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლია გოგიაშვილი

უარყოფის გამოხატვის სემანტიკური ველი ქართულში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

გორი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ქართლურ დიალექტში უარყოფის გამოხატვის სემანტიკური ველის შესწავლის ცდაა. არსებობს საშიშროება ცოცხალი მეტყველების ამსახველი მასალა დროთა განმავლობაში დაიკარგოს ან არასასურველი ცვლილებები განიცადოს, ამიტომ ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ითვლება ზეპირი მეტყველების ნიმუშების მოძიება და კვლევა. უარყოფა მოდალობისა და აზრის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, მისი შესწავლის ინტერესი დიდია, ამიტომ ამ საკითხის შესწავლა ქართლურ დიალექტში კილოკავებისა და ხეობების მიხედვით მნიშვნელოვანია.

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართლურ დიალექტში უარყოფის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების მოძიებას, გაანალიზებასა და კვლევას. ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, გამოვკვეთოთ ის ენობრივი საშუალებები, რომლის გამოყენებითაც აქტიურია უარყოფის მოდალობის გამოხატვა ცოცხალ მეტყველებაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ აღწერითი და შედარებითი მეთოდით განვახორციელეთ საილუსტრაციო მასალის კლასიფიკაცია მაწარმოებელი საშუალებებისა და სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით, გავანალიზეთ და, შეძლებისდაგვარად, ქრონოლოგიურად ერთმანეთს შევუდარეთ სხვადასხვა დროს ქართველ ენათმეცნიერთა ქართლის სოფლებში ჩაწერილი მასალები და ჩვენ მიერ მოძიებული უარყოფის გამომხატველი ლექსიკა. შედარების დროს გამოვყავით მსგავსი და განსხვავებული მაგალითები ქართლური დიალექტის კილოკავებისა და ხეობების მიხედვით.

Semantic field of denial expression in Kartlian

Annotation

The presented Master's Thesis is the attempt to study semantic field of denial expression in Kartlian dialect. There is a danger that the material reflecting live speech to lost during the time or undergo unwanted changes, therefore, one of the topical issues of Georgian dialectology is to find and research samples of oral speech. Denial is one of the categories of modality, the interest of its study is great and therefore, it is important to study this issue in Kartlian dialect according to local dialects and gorges.

The work aims to find, analyze and research lexical units expressing semantic of denial in Kartlian dialect. The task of the work is to find out the linguistic means by using of which the expression of denial modality is active in the live speech.

The scientific novelty of the work is that by the descriptive and comparative method we carried out classification of illustrative material according to the means of producing and semantic characteristics, we analyzed and, as far as possible, compared each other chronologically materials recorded at different times in the villages of Kartli by Georgian linguists and the vocabulary expressing the denial. During comparison we found similar and different examples according to the local dialects and gorges of the Kartlian dialect.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. უარყოფის შესწავლის საკითხი ქართველურ ენათმეცნიერებაში.....	9
1.1. უარყოფის გამოხატვის ძირითადი ნიშნებისა და შესწავლის მნიშვნელობისათვის.....	9
1.2 უარყოფის გამოხატვის საშუალებანი ქართულში.....	10
თავი II. ლექსიკური საშუალებებით გამოხატული უარყოფა ქართლურ დიალექტში.....	14
2.1. ნაცვალსახელით გამოხატული უარყოფა.....	14
2.2. ზმნიზედით გამოხატული უარყოფა	20
2.3. ნაწილაკით გამოხატული უარყოფა.	23
2.4. შორისდებულებით გამოხატული უარყოფა.....	37
2.5. ორმაგი უარყოფის გამოხატვის შემთხვევები ქართლურში.....	38
თავი III. სიტყვაწარმოებით გამოხატული უარყოფა ქართლურ დიალექტში.....	44
3.1. პრეფიქსით ნაწარმოები უარყოფა	44
3.2. პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები უარყოფა	46
3.3. უარყოფა კომპოზიტებში.....	48
3.4. უარყოფა ტოპონიმებში.....	50
დასკვნა.....	53
გამოყენებული ლიტერატურა.....	57
დიალექტური ტექსტები	62

შესავალი

ქართული ენის კილოთა შორის ქართლური ყველაზე უფრო მსხვილ დიალექტურ ერთეულად არის მიჩნეული. „მას უჭირავს საქართველოს ცენტრალური (შუაგული) ადგილი და ვრცელდება კახეთიდან იმერეთამდე, ე.ი. არაგვისა და მტკვრის ხეობიდან ლიხის მთამდე“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 269- 270).

შოთა ძიძიგური აღნიშნავს, რომ „შიგადიფერენციაციის საფუძველია ქართლურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე“ (ძიძიგური, 1990, 133). გარდა ამისა, „ქართლის დასავლეთი ნაწილი განიცდის იმერულის გავლენას, ჩრდილო ნაწილი – მთიულურისას, ზოგი კუთხე კიდევ სხვა ენობრივ წრეს ემეზობლება“(იმნაიშვილი, I, 1974, 19).

განსაკუთრებით საგრძნობია მეტყველების თავისებურებები ცალკეული კუთხეებისა და ხეობების მიხედვით. „ქართლის ცენტრალურ ნაწილს გარდა, გამოიყოფა: 1) ქართლის დასავლეთი ნაწილი (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოები), 2) ქართლის სამხრეთი ნაწილი (ქვემო ქართლი მთლიანად) და 3) ქართლის ჩრდილო ნაწილი (ლენინგორის რაიონი და აგრეთვე დუშეთის რაიონში შემავალი ქართლური სოფლები)“ (იმნაიშვილი, I, 1974, 19- 20).

ბესარიონ ჯორბენაძე კიდევ უფრო აკონკრეტებს დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ქართლის ოთხ ნაწილად დაყოფას. „ცენტრალური ქართლური: მცხეთა – კასპი – გორი – ქარელის რეგიონი; ჩრდილო (ზემო) ქართლური, რომელშიც გამოიყოფა ორი თქმა: არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველება; სამხრეთ (ქვემო) ქართლური, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თრიალეთური კილოკავი; გამოიყოფა რამდენიმე თქმა: გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური... დასავლეთ ქართლური, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ორი თქმა: ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება“ (ჯორბენაძე, 1989, 291).

ამის გამო „ენათმეცნიერული ინტერესი მისდამი დიდია და მრავალმხრივი. ქართლურის მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენის განვითარების ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის განუზომელია“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 269).

ქართული სამწერლობო ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიისათვის ქართლურის შესწავლის მნიშვნელობაზე ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს ვარლამ თოფურია (თოფურია, 1963, 161-162).

არსებობს დიდი საშიშროება ცოცხალი მეტყველების ამსახველი მასალა დროთა განმავლობაში დაიკარგოს ან არასასურველი ცვლილებები განიცადოს. ეს განსაკუთრებით ეხება ქართლის საზღვრისპირა სოფლებს, საიდანაც ხშირია მიგრაციული პროცესები დედაქალაქისაკენ. ამიტომ ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ითვლება ზეპირი მეტყველების ნიმუშების მოძიება, შესწავლა და კვლევა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს უარყოფის გამოხატვის სემანტიკური ველი ქართლურში. უარყოფა მოდალობისა და აზრის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, მისი შესწავლის ინტერესი დიდია, ამიტომ ამ საკითხის შესწავლა ქართლურ დიალექტში კილოკავებისა და ხეობების მიხედვით მნიშვნელოვანია. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი აღნიშნული საკითხის შესწავლის ცდას წარმოადგენს.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ქართლურ დიალექტში უარყოფის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების მოძიებას, გაანალიზებასა და კვლევას.

ჩვენი ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, გამოვკვეთოთ ის ენობრივი საშუალებები, რომლის გამოყენებითაც აქტიურია უარყოფის მოდალობის გამოხატვა ცოცხალ მეტყველებაში. კერძოდ, ქართლურ დიალექტში კილოკავებისა და ხეობების მიხედვით ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით.

კვლევის მიზნების შესაბამისად გამოვიყენეთ აღწერითი და შედარებითი მეთოდი. ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ აღწერითი მეთოდით განვახორციელეთ ქართლური დიალექტის კილოკავებსა და ხეობებში მოძიებული საილუსტრაციო მასალის კლასიფიკაცია მაწარმოებელი საშუალებებისა და სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით, გავანალიზეთ მათი შემადგენლობა, წარმოება, სპეციფიკური ნიშნები და სტრუქტურული თავისებურებები.

შედარებითი მეთოდის საშუალებით, შეძლებისდაგვარად, ქრონოლოგიურად ერთმანეთს შევუდარეთ სხვადასხვა დროს ქართველ ენათმეცნიერთა და მკვლევართა მიერ (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, გრ. იმნაიშვილი, არ.

მარტიროსოვი, ო. კახაძე, მ. მესხიშვილი, თ. სალარიძე, პ. გაჩეჩილაძე, ლ. ნოზაძე, მ. კობერიძე, ნ. ოქროპირიძე...) ქართლის სოფლებში ჩაწერილი მასალები და ჩვენ მიერ მოძიებული უარყოფის გამომხატველი ლექსიკა. შედარების დროს გამოვყავით მსგავსი და განსხვავებული მაგალითები ქართლური დიალექტის კილოკავებისა და ხეობების მიხედვით. დავძებნეთ აგრეთვე ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით განსხვავებული ფორმები და წარმოების საშუალებები. კვლევის დროს გამოიკვეთა სხვადასხვა ენობრივი მახასიათებლები ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ სხვადასხვა დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ქართლში ენათმეცნიერთა მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები. ნაშრომის ძირითადი თემის გამოკვეთის შემდეგ, დავიწყეთ დაკვირვება ახლომდებარე სოფლების მოსახლეობის მეტყველებაზე, სადაც უამრავი საინტერესო მასალის ჩაწერა მოვახერხეთ. უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებების მაგალითებს ძირითადად ვიწერდით **კარალეთის, დიდი გარეჯურის, ძევერის, ზერტის, მეჯურისხევის, თორტიზის, რეხის, სვენეთის** მოსახლეობის მეტყველებაზე აქტიური დაკვირვებით. ამისათვის გამოვიყენეთ დაკვირვების მეთოდი.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, 2019 წლის 4, 5 და 11 მაისს, შიდა გრანტის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტთა დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს, რომელიც მოიცავდა გორისა (დიცი, არბო, მერეთი, კოშკა, გუგუტიანთკარი, არბო, ქორდი, დიცი) და კასპის (სამთავისი, ქვემო ჭალა, ოკამი, ალაიანი, თვალადი, კავთისხევი, იგოეთი, დოესი, სასირეთი) მუნიციპალიტეტის სოფლებს, შესაძლებლობა მოგვცა მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებისას გამოგვეკვეთა უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებები და ჩავვეწერა მცირე ზომის ტექსტები, სადაც კიდევ უფრო მკაფიოთ არის წარმოჩენილი, თუ რა სიხშირით არის გამოყენებული უარყოფის ფორმები მეტყველებაში და რა ფუნქცია აქვთ მათ.

მოძიებულმა მასალამ საშუალება მოგვცა კვლევა უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გამხდარიყო; გარდა ამისა, დაგვეძებნა განსხვავებული ფორმები

ქრონოლოგიურად გამოქვეყნებულ მასალებსა და ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებს შორის.

უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებების შესახებ ვითვალისწინებთ ქართველურ ენათმეცნიერებაში არსებულ ტრადიციულ კლასიფიკაციას, რასაც ნაშრომის ძირითად ნაწილში შესაბამისად ვაფიქსირებთ ციტირებით.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა და ჩვენ მიერ ჩაწერილი დიალექტური ტექსტები.

პირველი თავი ეძღვნება უარყოფის ნიშნებს, უარყოფის გამოხატვის საშუალებებსა და შესწავლის საკითხს ქართველურ ენათმეცნიერებაში.

მეორე თავში გაანალიზებულია ლექსიკური საშუალებებით გამოხატული უარყოფა ქართულში: უარყოფის გამოხატვა ნაცვალსახელით, ზმნიზედით, ნაწილაკით, ორმაგი უარყოფის გამოხატვის შემთხვევები.

მესამე თავში განხილულია სიტყვაწარმოება უარყოფის გამოსახატავად, კერძოდ კი, უ- პრეფიქსით, უ-ო, უ-ურ, უ-არ, უ-ელ პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები უარყოფის ფორმები, უარყოფა კომპოზიტებში და უარყოფა ტოპონიმებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომს თან ახლავს ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები, რომლებიც მოიცავს სოფლის მეურნეობაში არსებულ სამუშაოებს, კერძის რეცეპტებს, სამკურნალო მცენარეებს, ლეგენდებსა და ზედმეტ სახელებს, სადაც უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებები კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული. ვფიქრობთ, ნაშრომი და ჩვენ მიერ მოძიებული დიალექტური ტექსტები დახმარებას გაუწევს ქართული დიალექტის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

თავი I. უარყოფის გამოხატვის შესწავლის საკითხი ქართველურ

ენათმეცნიერებაში

1.1 უარყოფის გამოხატვის ძირითადი ნიშნებისა და შესწავლის

მნიშვნელობისათვის

უარყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მეტყველებაში.

„სხვადასხვა ენებს შორის განსხვავება გვაქვს იმის მიხედვით თუ რა სახით ხდება უარყოფის გამოხატვა, ანუ როგორია მათში გამოყენებული უარყოფის სისტემები. ამ მხრივ სხვაობა გვაქვს თვით ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზედაც“ (მიქელაძე, 2000, 181).

უარყოფის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „უარყოფას, ენათმეცნიერების გარდა, სწავლობს მეცნიერების ბევრი დარგი: ლოგიკა, ფილოსოფია, კომუნიკაციის თეორია, სოციოლინგვისტიკა, ენათმეცნიერებაში კი – გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სიტყვაწარმოება, სტილისტიკა, საუბრის ანალიზი, სოციოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა“ (ქურდაძე, თვალთვაძე, ლომია და სხვები, 2016, 71; ზეკალაშვილი, აბესაძე, 2016, 62).

უარყოფის გამოხატვის ძირითად ნიშნებსა და ენობრივ საშუალებებს ქართველურ ენათმეცნიერებაში არაერთი საინტერესო და ღირებული ნაშრომი მიეძღვნა. აღსანიშნავია: ვარლამ თოფურიას „ორმაგი უარყოფა ქართულში“, 1923-1924, 74-116; ალექსანდრე ლლონტის „არ და ვერ ნაწილაკები ქართულში“, 1980, 143-149; ბესარიონ ჯორბენაძის „უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში“, 1984, 143-149. აკაკი შანიძე განიხილავს უარყოფით ნაცვალსახელებს, უკუთქმით ნაწილაკებს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, 1980, 44, 610. ლეო კვაჭაძეც ასევე მსჯელობს უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უკუთქმითი ნაწილაკების ფუნქციაზე სახელმძღვანელოში „ქართული ენა“, 2001, 193-194, 295-296. მარიკა შერაზადიშვილი ვრცლად მსჯელობს უარყოფითი ნაწილაკების შესახებ მონოგრაფიაში „ნაწილაკის საკომუნიკაციო ფუნქციისათვის ქართულში“, 2013, 8-143.

ქართველურ ენათმეცნიერებაში უარყოფასთან დაკავშირებული გრამატიკული და სტილისტური საკითხებია განხილული ზურაბ ჭუმბურიძის ნაშრომში „უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებები“, 1970, 41-46; ლეილა გეგუჩიძის ნაშრომში „ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში“, 2007, 32-40. ავთანდილ არაბული ყურადღებას ამახვილებს ორმაგი უარყოფის გამოყენების შემთხვევებზე „ქართული მეტყველების კულტურაში“, 2004, 177-178.

უარყოფის შესწავლის აქტუალობაზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ამ საკითხის შესწავლას მიემდგნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი გრანტი: „უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში“ (2015) და „უარყოფის გამომხატველი მოდელის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი დიაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისით ქართველურ ენებში“ (2016). ამ კვლევების შედეგად მიღებული შედეგები „მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ ქართველურ ენათა ისტორიისა და ტიპოლოგიის განსაზღვრისას, ისე ზოგადენათმეცნიერული, კულტუროლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით“ (ქურდაძე, თვალთვაძე, ლომია და სხვები, 2016, 71-115; ქურდაძე, თვალთვაძე და სხვები, 2016, 118-121).

უარყოფის გამოხატვის საშუალებები განხილულია ნაშრომებში: რუსუდან ზეკალაშვილი „უარყოფის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები ქართული ენის დიალექტებში“, 2016, 30-31; რუსუდან ზეკალაშვილი, მარიამ აბესაძე „უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში“, 2016, 63-70.

უარყოფის გამოხატვის საშუალებების ანალიზია მოცემული მათა ადვამის შრომაში „უარყოფის პრაგმატული ასპექტები სხვადასხვა სისტემის ენაში (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით)“, 2015, 13-174.

ჩამოთვლილი სამეცნიერო ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ ქართველურ ენათმეცნიერებაში ეს საკითხი კვლევისათვის აქტუალურია. აღნიშნული საკითხის შესწავლას მიემდგნა ქართველ ენათმეცნიერთა არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი.

1.2 უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართულში

უარყოფის გამომხატველი ენობრივ ნიშნები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა დიალექტურ ერთეულს ახასიათებს მეტ-ნაკლები სახეცვლილებით. ამ მხრივ, არც ჩვენი კვლევის სფერო, ქართლური დიალექტია გამონაკლისი. სანამ კონკრეტულად ქართლურ დიალექტში დაცულ უარყოფის გამომხატველ სემანტიკური ველის განხილვაზე გადავალთ, განვიხილოთ ზოგადად უარყოფის გამოხატვის ძირითადი საშუალებები ქართულში და ქართველ ენათმეცნიერთა მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

„ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიც, არსებობს მტკიცებისა და უარყოფის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება, რომლებიც ქმნიან მაკროველს. მის შემადგენლობაში შედის უარყოფის მიკროველი, რომელიც ბევრ ასპექტს მოიცავს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“ (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 62).

მ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ „დღეს ქართულში ერთმანეთის პარალელურად უარყოფის სამი სისტემა მოქმედებს, რომლებიც სხვადასხვა პრინციპს ემყარება და სხვადასხვა ხნოვანებისაა. უარყოფის შინაარსი საგანგებო ნაწილაკებს ან უარყოფის გამომხატველ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს უკავშირდება, რომელთა სხვადასხვაგვარი განაწილება ქმნის სწორედ ამ განსხვავებულ სისტემებს“ (მიქელაძე, 2000, 181).

მ. მიქელაძის მოსაზრებით: „ ყველაზე მარტივია და ძველი უარყოფის ის გზა, როცა სათანადო შინაარსი მხოლოდ ნაწილაკებთან არის დაკავშირებული, მომდევნო საფეხურზე უარყოფა სრულმნიშვნელოვან სიტყვებს უკავშირდება, ბოლოს კი, მესამე საფეხურზე, ხდება ამ საშუალებათა თავისებური კონტამინაცია“ (მიქელაძე, 2000, 181).

უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებებს ვხვდებით ძველ გრამატიკოსებთან. ზურაბ შანშოვანი „არა“, „ნუ“ ნაწილაკებს მიიჩნევს „ზმართულად“ (ზმნიზედად) (შანშოვანი, 1881, 68-72).

ანტონ პირველის გრამატიკაში „არ“, „ნუ“, „არცა“, „არცაღა“ განხილულია უკუთქმით ზმნიზედაში, „ნუცაღა“ კი დაყენებით ზმნიზედად (ანტონი I, 1885, 213).

გაიოზ რექტორი „არა“, „ნუ“, „არცა“, „არცადა“ უწოდებს „უკუთქმით ანუ დამაყენებლობით“ ზმნიზედებს (რექტორი, 1970, 116).

მარიკა შერაზადიშვილი ნაწილაკის შესწავლის ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს: „ გრამატიკოსთა დიდი ნაწილი ნაწილაკს გამოყოფს ზოგადად და არ განიხილავს მას კონტექსტში, რის გამოც არ ჩანს ერთი და იმავე ნაწილაკის მიერ მრავალი მნიშვნელობის გამოხატვის უნარი, სტილისტური ფუნქციები, საერთოდ მისი ადგილი ენის სისტემაში (შერაზადიშვილი, 2013, 15).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „უკუთქმითი ნაწილაკებია: არ, ვერ, ნუ. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „არ“ მარტივად უარყოფს („არ ჭამს“), „ვერ“ მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“). ნუ კი (II კავშირებითთან აგრეთვე „არ“) კრძალავს მოქმედებას („ნუ ჭამს“ , „არ ჭამოს“) (შანიძე, 1980, 610).

ენათმეცნიერთა მიერ შესწავლილია აღნიშნული ნაწილაკების განაწილება ზმნის სხვადასხვა დროისა და კილოს ფორმებთან (ჭუმბურიძე, 1970, 42-44; ჯორბენაძე, 1984, 139-145).

ვარლამ თოფურია აღნიშნავს, რომ არ ნაწილაკით გამოხატული უარყოფა კატეგორიულად გამოხატული უარყოფაა, რომელიც მოქმედის ნება-სურვილზეა გამოხატული (თოფურია, 1923-24, 76-116).

არ ნაწილაკი დაერთვის კავშირებით კილოს ფორმებს და აქცევს მათ უარყოფით ბრძანებითად (შერაზადიშვილი, 2013, 22).

არ უკუთქმითი ნაწილაკით გამოხატული უარყოფა მიჩნეულია მარტივ უარყოფად (შანიძე, 1980, 610; ჭუმბურიძე, 1970, 143-149; ღლონტი, 1980, 143).

სულხან-საბა ორბელიანი „არა“ ნაწილაკს „უქონლობის უარს“ უწოდებს (ორბელიანი, 1991, 59-60).

ნიკო ჩუბინაშვილი მიუთითებს „არა“ ნაწილაკის ფუნქციაზე. „არა უკუთქმითი მარცვალი (ნახე ვერ), (ფსალ.1.1 და შემდეგი), ნ./ზოგჯერმე იხმარების ბრძანებითადცა, ხოლო ნიადაგ ბრძანების დამნიშვნელი არს ნუ“ (ჩუბინაშვილი, 1961, 139).

ენათმეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს: „მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, გარდა წოვა-თუმურისა, მხოლოდ ოდენნაწილაკიანი უარყოფა გვაქვს, რაც სწორედ

აღნიშნული სისტემის საფუძველზე მიენიშნება (იმნაიშვილი, 1953, 53-71; მიქელაძე, 2000, 181-182).

ქართულ სალიტერატურო ენაში „ვერ“ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც ვერ სრულდება სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად, სუბიექტს არ შეუძლია მოქმედების შესრულება (ჭუმბურიძე, 1970, 41-48). „არ“ მორფემოიდისაგან განსხვავებით, „ვერ“ გამოხატავს შეუძლებლობას და „არა“ კატეგორიულ უარყოფას (შერაზადიშვილი, 2013, 87).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ უარყოფის სისტემის თავისებურებაზე. „ქართულ ენაში უარყოფის მეტად თავისებური სისტემა ვლინდება, რაც გულისხმობს ნეიტრალური ან კატეგორიული უარყოფის, შესაძლებლობის უარყოფასა და ბრძანება-თხოვნის უარყოფის სპეციალური ნაწილაკებით გადმოცემას. ეს სისტემა დიალექტებშიც უცვლელად მოქმედებს, რაც საერთო ქართული მონაცემია და მას სისტემური ცვლილება არც დიალექტებში არ ახასიათებს“ (გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016, 192).

ენათმეცნიერები პარალელს ავლებენ ძველ და ახალ ქართულში უარყოფის გამოხატვის ფორმებს. „უარყოფით ნაწილაკიანი რთული სახელების წარმოება შედარებით პროდუქტული გახდა ახალ ქართულში. ამ პროცესს ხელი შეუწყო უარყოფის გამომხატველ პარალელურ ფორმათა სემანტიკურმა სხვაობამ, რაც ამგვარ ფორმათა თანაარსებობის საფუძველია“ (ქურდაძე, თვალთვაძე და სხვები, 2016, 118).

რ. ზექალაშვილი და მ. აბესაძე უარყოფის გამოხატვის ენობრივ საშუალებებზე მსჯელობისას ასეთ დასკვნას აკეთებენ სალიტერატურო ენასა და დიალექტებთან შედარებით. „ლექსიკური, დერივაციული და სინტაქსური უარყოფის გამოხატვის სისტემა ერთიანი და მსგავსია სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, ძირითად საშუალებათა ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები არ განსხვავდება“ (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 68).

რ. ზექალაშვილი და მ. აბესაძე ქართველურ ენაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე დასკვნას აკეთებენ, რომ ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში გამოიყოფა ბირთვი (პრედიკატული უარყოფის საშუალებები) და სამი დონე: ლექსიკური, დერივაციული და სინტაქსური (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 68).

წარმოდგენილ ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებებს უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებების შესახებ ვითვალისწინებთ ქართლურ დიალექტზე მსჯელობისას, რასაც შესაბამისად ვაფიქსირებთ ციტირებით.

თავი II. ლექსიკური საშუალებებით გამოხატული უარყოფა ქართლურ დიალექტში

2.1. ნაცვალსახელით გამოხატული უარყოფა

ქართლურ დიალექტში სხვადასხვა ენობრივი ნიშნებით გამოხატება, ამ მხრივ, საინტერესოა გამოყენებული უარყოფის გამომხატველი ნაცვალსახელები.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაცვალსახელი უარყოფის მიკროველის პირველი დონის ძირითადი ერთეულების ლექსიკური საშუალებების შემადგენლობაშია განხილული ზმნიზედებთან ერთად (ქურდაძე, თვალთვაძე, ლომია და სხვა, 2016, 71-115; ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 63).

„ნაცვალსახელისათვის ნიშანდობლივია მცვლელის ფუნქცია: ზოგი ნაცვალსახელი ცვლის არსებით სახელს, ზოგი ზედსართავს, ზოგიც რიცხვით სახელს“ (მიქიაშვილი, 2003, 84).

ა. შანიძე შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელის ათ ჯგუფს გამოჰყოფს. ეს ჯგუფებია: „პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი“ (შანიძე, 1980, 41).

ლ. კვაჭაძე უარყოფით ნაცვალსახელთა შესახებ აღნიშნავს: „უმეტესობა მიღებულია ვინ და რა-საგან თავში უარყოფითი ნაწილაკების დართვით: არავინ, ვერავინ (ვერვინ), ნუვინ (ნურავინ), აღარავინ, ველარავინ, ნულარავინ... არა (<არ-რა, არა-რა), ვერა (<ვერ-რა, ვერა-რა), ნურა (<ნურარა), აღარა (აღარრა), ველა-რა (<ველარრა). რა-ს

მაგივრობას -ფერი და -ვითარი-ც ასრულებს: არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, აღარაფერი, ველარაფერი, ნულარაფერი... არავითარი, ვერავითარი..." (კვაჭაძე, 2001, 193).

ა. შანიძის მოსაზრებით უარყოფითი ნაცვალსახელები მიღებულია „ვინ“ და „რა“-საგან წინ უარყოფითი ნაწილაკის დართვით. „რა“-ს მაგივრობას „ფერი“-ც ეწევა(შანიძე, 1980, 44).

ქართლურ დიალექტურ მეტყველებაში უარყოფითი ნაცვალსახელებიდან დასტურდება არაფერი. წარმოდგენილი საილუსტრაციო მაგალითები გავაანალიზოთ კილოკავების მიხედვით.

ცენტრალური ქართლური:

1. იმით გატეხა, მოწამე არა-ფოლია და არაფერი უთხრა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 279).
2. ერთისახენწიფო გაიარა, არაფერი, გადავიდა, მეორეც გადავიდა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 292).
3. რა ამბავია შვილო? არაფერი დედი (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
4. დედმამიშვილს არაფერი ჯობს ქვეყანაზე (ჩაწერილი სოფ. ზერტში).
5. ეგ არაუშავს, ხდება ხოლმე, მთავარია ცუდი არაფერი მომხდარა (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
6. სირბილაძეების ბავშვი წაიქცა, მაგრამ არაფერი სტკენია (ჩაწერილი სოფ. თორტიზაში).
7. სოფელზე რამე თქმულება არაფერი გამიგია (ჩაწერილი სოფ. ქორდში).

ქვემო ქართლური (სამხრეთული ქართლური):

- 1) მარილწყალში ყველი იყვეს, რამთენი ხანიც უნდა, არ გაფუჭდება არაფერი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 312).
- 2) მეორე დღეს წითელი პარასკებია (ხმიადობა), შაფათი არაფერი და კვირას აღდგომაა (სოფ. ფარცხისი) (სალარიძე, 1978, 188).

დასავლური ქართლური:

- 1) შენ მამულში არაფერი მოვიდაო და შენ რაღა მოქცეთო (იმნაიშვილი, II, 1974, 88)!

- 2) შარშანდელი ღალა შარშან მივეციტო; წელს არაფერი მოვიდაო და რა მოგცეტო (იმნაიშვილი, II, 1974, 88)!

უარყოფის გაძლიერების მიზნით „არაფერ“ ნაცვალსახელს ახლავს „მეტი“; მაგალიტად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ჩემი შვილებისტვის მეტი არაფერი გამიკეთებია, ყველაფერს თავისიტ მიაღწიეს (ჩაწერილი სოფ. რეხაში).
- 2) ამის მეტი არაფერი შემიძლია, რაც არის ეგ არის (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

დასავლური ქართლური:

- 1) წკნელის სახლი ქონდა ერთი, ცეცხლი მიეცათ, დეეწვათ, სწორეთ თბილი ნაცარი დახვდათ, მეტი არაფერი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 306).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) ძირში ვყრით სიმინდს. მეტი არაფერი ჩაიყრება იმაში (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 310).
- 2) აი ქვეით რო ბალია, ისიც ბატონისა ყოფილა, ეხლა ერთი კაკალია დარჩენილი, მეტი არაფერი (სოფ. ტბისი) (სალარიძე, 1978, 194).

„ არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი უარყოფით ნაცვალსახელებს ყველა ბრუნვის ფორმა აქვს, გარდა წოდებითისა. ეს ნაცვალსახელები უპირატესად დამოუკიდებლად გვხვდება მეტყველებაში. შედარებით იშვიათია მათი გამოყენება მსაზღვრელად“ (კეკელია, დავითიანი, 1981, 159).

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალიტებში „არაფერი“ გვხვდება სახელობითი ბრუნვის გარდა მიცემითი ბრუნვის ფორმითაც. მაგალიტად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) მებატონე გარაყანიძეეფს დასჭირებიათ მუშახელი მამულის დასამუშავებლათ, რადგან ისინი თავიანთი ხელით არაფერს აკეთებდნენ ჭამა-სმის მეტს (იმნაიშვილი, II, 1974, 24).

- 2) მთელი დღე სახლში უქმად ზიხარ არაფერს აკეთებ და მაინც იღლები (ჩაწერილი სოფ. ძევერაში).
- 3) ემენდალე ეგ გამოგყვეს მაინც არაფერს აკეთებს (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

სამხრეთ (ქვემო)ქართლური:

- 1) კაი ბატონი ყოფილა, არაფერს ართმევდა ხალხსა (სალარიძე, 1978, 194).
- 2) ცოლს ეჩხუბებოდა, რო მე ვმუშაობ და შენ არაფერს აკეთებო (სოფ. გოლთეთი) (სალარიძე, 1978, 199).

ქართლური დიალექტში იშვიათ შემთხვევაში „არაფერი“ გვხვდება მსაზღვრელად. მაგალითად:

სამხრეთ (ქვემო)ქართლური:

- 1) ადგა ეს ბიჭი, კიდევ პური შეჭამა, უნდა წავიდეს, ბიჭმა არაფერი ამბავი არ იცის რა, შვილებმა უთხრეს: – რატომ არაფერს ეუბნებო? (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 325).

ქართლურ მეტყველებაში დასტურდება შემთხვევები, როდესაც უარყოფითი ნაცვალსახელის პარალელურად გამოიყენება ორმაგი უარყოფა, ასეთი მაგალითები იშვიათია, მაგრამ მეტად საინტერესო. კვლევისას მსგავსი ტიპის მაგალითი შეგვხვდა ქვემო ქართლურ (სამხრეთული ქართლური) მეტყველებაში, მაგალითად:

სამხრეთ (ქვემო)ქართლური:

- 1) ახლა ქართველისგან არაფერი გამჩნევა არ არის (იმნაიშვილი, II, 1974, 108).

ქართლურში დასტურდება არავინ (არავინა), ვერავინ, აღარავინ, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ყარაული იდგა, რო წყლითვინ არავინ წასულიყო (იმნაიშვილი, II, 1974, 6).
- 2) წინათი ჩვენ შვილს შკოლაში არავინ ასწავლიდა (იმნაიშვილი, II, 1974, 21).

- 3) ნახა, რო ერში გახდილია კარქი მოჭიდავე, რომელიც რო იმას არავინ ეჭიდებოდა. ამ დროს მოვიდა მექა მერაბაშვილი და გლესხ შეეკითხა: „ეგ რათ არი გახდილი?“ - „არავინ ეჭიდებიან“, - ამ გლესხმა უპასუხა (იმნაიშვილი, II, 1974, 41).
- 4) დუესში მინაძე აღარავინ არის. მოხისში (ხაშურის რაიონი) კი არიან მინაძეები (იმნაიშვილი, II, 1974, 14).
- 5) მას ვერავინ აქცევდა ჭიდაობაში გორის მაზრაში (იმნაიშვილი, II, 1974, 41).
- 6) ვერავინ გადამიწყვეტამს ჩემს მომავალს(ჩაწერილი სოფ. ზერტში).
- 7) მე, თუ წავალ, კაციშვილი ვერავინ მიპოვნის (ჩაწერილი სოფ. ზერტში).
- 8) ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ვერავინ მოიყვანა გონებაზე (ჩაწერილი სოფ. ქვემო ჭალაში).
- 9) ვერავინ ჯობნის სკოლაში, ისე მაგრად სწავლობს (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 10) თითონ ის პაჩონკებიც აღარავინ იცის (ჩაწერილი სოფ. ქვემო ჭალაში).

ჩრდილო (ზემო) ქართლური:

- 1) სამი წელიწადი იქ ყოფილიყო. შემდეგ, ყურადღება რო არავინ მიაქცევა, ჩამოსახლდა მიდელაანში (იმნაიშვილი, II, 1974, 136).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) – დედამიწაზე დიდი ხელმწიფე არი, იმაზე ღონიერი დიდი არავინ არი. ერთი ქალიშვილის მეტი არავინა ჰყავს (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 318).
- 2) ამ გლესხმა უთხრა: – დიდებულო ხელმწიფე, მე ვიცი, რო შენი ქალიშვილი ავათ არი, არავინ უშველის, მე კი ვიცი მაგისი წამალი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 320).
- 3) ხემწიფეს უთხრეს: კვახის ოთახშიო ძალიან კარგი შუქი და სინათლე გამოდისო და შენ გოგოს ხომ არავინ ყამს სხვაიო (იმნაიშვილი, II, 1974, 98)?

დასავლეთ ქართლური:

- 1) მერე ნეფე ერეკლემ უცადა ერთი კვირეი. აღარავინ მოვიდა (იმნაიშვილი, II, 1974, 75).

გაანალიზებულ მაგალითებზე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ცენტრალურ ქართულურში ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება **აღარავინ** და **არავინ**. აქტიურად გამოიყენება **ვერავინ**. **აღარავინ** დასტურდება დასავლურ ქართულურში. არ გვხვდება ჩრდილო ქართულურსა და სამხრეთ ქართულურში. სამაგიეროდ დასტურდება სავრცობიანი ფორმა **არავინა**.

ქართულ მეტყველებაში იშვიათად გამოიყენება უარყოფითი ნაცვალსახელები: **არანაირი**, **ვერანაირი**, **ნურანაირი**. შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითები დავადასტურეთ მხოლოდ ცენტრალურ და სამხრეთ ქართულურში. მაგალითად:

ცენტრალური ქართული:

- 1) ბევრიც მოვინდომო მაგას **ვერანაირად** ვაპატიებ გული ისე მატკინა (ჩაწერილი სოფ. ზერტში).
- 2) **ვერანაირად წამოვალ** დღეს, სახლში ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 3) მე **ვერანაირად დაგეხმარები**, მე თვითონ დასახმარებელი ვარ (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 4) მანქანით იქ **ვერანაირად ახვალთ** ბევრიც რომ მოინდომოთ (ჩაწერილი სოფ. ოკამში).

სამხრეთ (ქვემო) ქართული:

- 1) იმნაირათ ავათ გავხადე, რომ ვერავითარი დობტური, **არანაირი ექიმი** მაგას ვერ უშველის (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 318).

ამრიგად, ქართულ დიალექტში, ჩვენი დაკვირვებით, აქტიურად გამოიყენება შემდეგი უარყოფითი ნაცვალსახელები: **არაფერი**, **ვერაფერი**, **არავინ** (**არავინა**), **ვერავინ**, **აღარავინ**. უარყოფის გამლიერების მიზნით „**არაფერ**“ ნაცვალსახელს ახლავს „**მეტი**“ (მეტი არაფერი). „**არაფერი**“ უარყოფითი ნაცვალსახელი ხშირად დასტურდება სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმით (არაფერი მოვიდაო, არაფერს აკეთებს); იშვიათ შემთხვევაში „**არაფერი**“ გვხვდება მსაზღვრელად (არაფერი ამბავი); სამხრეთ ქართულ მეტყველებაში უარყოფით ნაცვალსახელს ახლავს ნაწილაკით გამოხატული

უარყოფაც (არაფერი გამჩნევა არ არის); იშვიათად დასტურდება უარყოფითი ნაცვალსახელები არანაირი, ვერანაირი, ნურანაირი..., ზოგჯერ „არანაირი“ მსაზღვრელადაც დასტურდება (არანაირი ექიმი), ხშირ შემთხვევაში კი მთელი მოქმედების უარყოფას გამოხატავს (ვერანაირად ვაპატიებ).

2.2. ზმნიზედით გამოხატული უარყოფა

ქართლურ დიალექტში უარყოფის სემანტიკა შეიძლება გამოხატულ იყოს უარყოფის გამომხატველი ზმნიზედების გამოყენებით.

“ზმნიზედა ფორმაუცვლელი სიტყვაა და წინადადების წევრებთან გრამატიკულ ურთიერთობაში არ არის, მაგრამ ზოგი მათგანის ფუძე წარმოქმნილია, მიღებულია სახელისაგან და გაქვავებულია გარკვეულ (მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით) ბრუნვებში” (დლონტი, 1964, 98).

ლ. კვაჭაძის აზრით, უარყოფითი ზმნიზედები „მიიღება კითხვითებისაგან უარყოფითი ნაწილაკების დართვით: არსად, არსაიდან, არსით, არასოდეს, ვერსად, ვერასოდეს, ვერსაიდან, ნურსად....” (კვაჭაძე, 2001, 281).

ქართლურ დიალექტში უარყოფას გამოხატავს უარყოფითი ზმნიზედა „არსად“, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) იმ კაცმა მაიხედა და ცხენი არსად იყო (იმნაიშვილი, II, 1974, 52).
- 2) ოჩხი უნდა მოითხაროს, გარშემო ორპირ ქვას შემოულაგებ, იმ ქვაში ქვიშას ჩავყრი, ისე გაიფითნება, წყალი არსად გაუვა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 309).
- 3) – აი ეს ვაზია მზია, მე ესეთი ვაზი არსად მინახია სხვაგან (ჩაწერილი სოფ. ქვემო ჭალაში).
- 4) ზაფხულობით სახლში ვარ არსად მივდივარ დასასვენებლად (ჩაწერილი სოფ. კავთისხევში).

5) ჩვენი საშველი არსად არის, ჩვენ თავებს ჩვენვე თუ არ ვუპატრონეთ (ჩაწერილი სოფ. ალაიანში).

6) ამ დროში ფული არსად იშოვება ჰაერზე, თუ ხელს არ გააქნევ (ჩაწერილი სოფ. ზერტში).

7) ყველგან ვიყავი სადაც კი შეიძლებოდა, მაგრამ არსადაა გამოსავალი (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

დასავლური ქართლური:

1) სამჯელ იყვნენ. მერე თქვეს: არსად არიანო, ნამდვილათ თავი დაიხჩესო (იმნაიშვილი, II, 1974, 82).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

1) ხვეწნათ თხოვა: – მოდი, ძმაო, ერთი ფუთი პური მათხოვე, ზამთარია, არსად წასვლა არ შეიძლება, ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 318).

2) ერთი ბაწარი ვიპოვე, წიწილები ერთმანეთზე გადავაბირო არსად წავიდნენ მეთქი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 329).

ცენტრალურ ქართლურში აქტიურად გამოიყენება უარყოფითი ზმნიზედა ვერსად, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

1) ხუთკუნჭულა რომ ვერსად დაინახა, მიაძახა: გამასწარ არა ხიდზედაო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 295)!

2) წავიდა იმი საძებნელათ, მაგრა ვერსად ნახა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 301).

3) ჩემი კალამი ყველგან ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე, ალბათ ვინმემ მომპარა (ჩაწერილი სოფ. დიცში).

4) თუ ასე ცუდად მოიქცევი, **ვერსად წახვალ** (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

5) ჩვენთან ტყეს **ვერსად ნახავ**, სულ გაიჩეხა (ჩაწერილი სოფ. მეჯვრისხევში).

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში შევნიშნეთ უარყოფითი ზმნიზედის სხვადასხვა სახით გამოყენების შემთხვევები, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

1) ცუდს **ნურასდროს** გაუკეთებ ადამიანს, თორე უკანვე დაგიბრუნდება (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

2) ხო გაგიგია: „**არასოდეს** თქვა **არასოდეს**“ (ჩაწერილი სოფ. ზერტში).

3) მე **არასოდეს** შევარცხვენ ჩემ მშობლებს (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

4) –შვილო, სად მიდიხარ? –**არსად** დედა უბრალოდ გავიხედე გარეთ (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

5) **ვერასდროს** წარმოვიდგენდი ასე ძალიან თუ შემიყვარდებოდა (ჩაწერილი სოფ. სვენეთში).

6) ალბათ **ვერასდროს** წავალ საზღვარგარეთ, სად მაქვს მე მაგდენი ფული? (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

7) **ნურასდროს** მოიქცევი ისე რომ მერე სანანებელი გაგიხდეს (ჩაწერილი სოფ. ზერტში).

8) სულ რომ ვკვდებოდე, ბანკთან საქმეს **აღარასდროს** დავიჭერ, ისე ვარ გამწარებული (ჩაწერილი სოფ. ზერტში).

9) **არასოდეს** დავთესავ ლობიოს ამის მერე (ჩაწერილი სოფ. რეხაში).

10) **არასოდეს** მიფიქრია შენი განაწყენება, მაგრამ ასე გამოვიდა (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თითქმის თანაბარი ინტენსივობით არის ნახმარი უარყოფითი ზმნიზედები ცენტრალურ ქართულის სოფლების მეტყველებაში.

ამგვარად, ქართული დიალექტის საანალიზო მასალებში უარყოფის გამოსახატავად დასტურდება ზმნიზედები: **არსად** (არსად მინახია), **არსაიდან** (არსაიდან გაუვა), **ვერსად** (ვერსად დაინახა), **ნურასდროს** (ნურასდროს გაუკეთებ), **არასოდეს** (არასოდეს თქვა არასოდეს), **ვერასდროს** (ვერასდროს წავალ), **ნურასოდეს** (ნურასოდეს მოიქცევი), **აღარასდროს** (აღარასდროს დავიჭერ)... ისინი, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა, გამოხატავენ დროს ან ადგილს, მაგრამ უარყოფენ ზმნით გამოხატულ მოქმედებას, მაგრამ განსხვავდებიან გამოყენების სიხშირით.

2.3. ნაწილაკით გამოხატული უარყოფა

მარიკა შერაზადიშვილი ნაწილაკის შესახებ აღნიშნავს: „მან რთული გზა განვლო, ვიდრე თავის კანონიერ ადგილს დაიმკვიდრებდა მეტყველების ნაწილთა შორის" (შერაზადიშვილი, 2013, 5).

ქართულ ენის სიმდიდრეზე მიუთითებს ნაწილაკის მრავალი ფუნქცია. „დიალექტებში ნაწილაკთა სისტემა, იმეორებს საერთო ქართული ენის სისტემას, მაგრამ როგორც დამოუკიდებლად არსებული ენობრივი ქვესისტემები, ისინი ასევე მოიცავენ ისეთ ნაწილაკ-მორფემოიდებსა და ელემენტებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ არსებობს. ამდენად, დიალექტთა მონაცემები ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციებისათვის მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელი მასალაა“ (გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016, 189).

ნაწილაკს მრავალმხრივი ფუნქცია აქვს. „ნაწილაკი დაერთვის არა მარტო სახელებს, არამედ მეტყველების ნებისმიერ ნაწილს, იქნება ის ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული თუ თვით ნაწილაკი. ფუნქციის მიხედვით ნაწილაკი მრავალფეროვანია. ამიტომ ნაწილაკები დაყოფილია ცალკე ჯგუფებად. ძირითადი ჯგუფებია: კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი (უარყოფითი), მიგებითი,

გამლიერებითი, სიტყვა-სიტყვითი, განცვიფრებისა, მიმართებითი და ე.წ. მოდალური ნაწილაკები“ (კეკელია, დავითიანი, 1981, 232).

ჩვენი ინტერესის სფეროს, ამ შემთხვევაში წარმოადგენს უარყოფითი (უკუთქმითი) ნაწილაკები: **არ, ვერ, ნუ.**

განვიხილოთ უარყოფითი ნაწილაკების ფუნქცია კილოკავებისა და ხეობების მიხედვით. ფრონეს ხეობის ქართლურში, ისევე როგორც ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში, ნაწილაკი ფუნქციურად მრავალფეროვანია. ზოგ ნაწილაკს ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს ერთდროულად ორი ან მეტი, ზოგჯერ კი მისი ხმარების თავისებური შემთხვევებიც წარმოჩნდება; აქ არა ნაწილაკი კატეგორიულ ან მარტივ უარყოფასთან ერთად („არ გავაკეთებ“; „არა, არ მაქვსო“) გამოხატავს მტკიცებით-დადასტურებით შინაარსსაც. მაგ.: „კი არა კლავენ“. ზოგჯერ გარკვეულ კონტექსტში და კავშირთან ერთად აღნიშნავს გაკვირვება-განცვიფრებას („არადა რა ლამაზია“) (კობერიძე, 2000, 94).

ჩვენი დაკვირვებით, ქართლურ დიალექტში ყველაზე უფრო ხშირი ხმარებით გამოირჩევა „არ“ ნაწილაკი. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ეტყობა, რო ეგ ისეთი ვაჟკაცია, ცოცხლევს **არ გაგვიშვეფს** და დავანებოთ თავი (იმნაიშვილი, II, 1974, 7)!
- 2) თუ **არ ექნებოდათ**, მიჰყონდათ ტყვეთ, ახსენებდნენ სამშობლოსა ფულით. თუ **არექნებოდა**, შააწუხებდა ნათესავს, მეზობელს ტყვეს პატრონი, სადაც იქნებოდა, იშოიდა ფულს, დაიხსნიდა (იმნაიშვილი, II, 1974, 8).
- 3) ქველიძეების ბატონი იყო ცხინვანელი; იმისი გვარი **არ ვიცი** (იმნაიშვილი, II, 1974, 9).
- 4) მას **არ შეეძლო**, რო სახლი ეეშენებინა ქვითკირისა (იმნაიშვილი, II, 1974, 10).
- 5) **არ შაიძლებოდა**, თვარ მისცემდა. თუ ღალა **არ ჰქონდა**, მაშინ მისცემდა ერბოს, ქათამს (იმნაიშვილი, II, 1974, 10).
- 6) მამაჩემს ხის გუთანა ქონდა; რკინის **არ შაიძლებოდა** (იმნაიშვილი, II, 1974, 10).
- 7) უშიშარი კაცი იყო, იმისი შიში **არ შაიძლებოდა** (იმნაიშვილი, II, 1974, 11).

- 8) კედელას ტალიანი თოფი ქონდა, თოფს რო გაისროდა, უნდა მეეკლა ან დათვი, ან ირემი. ისე გავარდნა არ შაიძლებოდა (იმნაიშვილი, II, 1974, 11).
- 9) ღამე და დღე არ იყო დასვენება. მიბრძანებდნენ და ვაკეთებდი. თუ არ გავაკეთებდი, ვეხეფს მიბრაცუნებდნენ, მცემდნენ (იმნაიშვილი, II, 1974, 12).
- 10) ხანდახან წლის ბოლოს მომიშარებდნენ, გამომადგებდნენ და ფულს არ მომცემდნენ (იმნაიშვილი, II, 1974, 12).
- 11) პაპაჩემმა ფეხი არ გაიქნია, ძვლამდინ დავიდა ცეცხლი (იმნაიშვილი, II, 1974, 13).
- 12) გასცა ბატონმა ბრძანება და ყარაული დაუყენა ბატონმა, რო არ გაპარულიყვნენ მინაძეები (იმნაიშვილი, II, 1974, 13).
- 13) ბატონმა უთხრა ყარაულსა: ეხლა სადლა ჯანდაბაში წავლენო? გლახია, თავის ნაშრომს არ დასთმობსო (იმნაიშვილი, II, 1974, 14).
- 14) „მე რომ ხიდისთავში დავსახლდე, თარხნიშვილები აქ ფოსტი გზაზე სიარულს არ დაიშლიან და თარხნიშვილი შემამაკვდება ვინმე“. ის წავიდა შორს და გვარი არ შეუცვლია იმასა (იმნაიშვილი, II, 1974, 14).
- 15) არ შეუძლია - შეუძლოდაა, ცოტა ავადაა, სუსტად არის. პატარები რო მყვანდენ, თელი ოჯახი იყო და ჩემი დედამთილი, ეხლა რა ქნას საწყალმა, არ შეუძლია, ვეღარ მეხმარება (ქვ. ჭ.) (მესხიშვილი, 2006, 20).
- 16) ეს გვარი პაპაჩემის მამამ გამოიგონა. ასეთი გვარი არ იყო (იმნაიშვილი, II, 1974, 14).
- 17) შენ კოვზიაშვილი კი არა ხარ, მინაძე ხარო. შენმა წინაპრებმაო ნუთუ არ გადმოგცესო, რომ შენ მინაძე ხარო? მე ვიცოდი, რო მინაძე ვიყავი, მაგრამ არ ვუთხარი; მე ისე მუაჩვენე თავი, რომა მითომ არ ვიცოდი ჩემი ძველი გვარი (იმნაიშვილი, II, 1974, 15).
- 18) მაშინ მაშინები არ იყო, რომ შაგხვდებოდა, ფაიტონს გზას იქიდან გადაიტანდა და გვეტყოდა: „გამარჯობათ, შვილებო, გამარჯობათ! სადაურები ხართ, შვილებო?!“ (იმნაიშვილი, II, 1974, 15).
- 19) აბა, შვილებო, იქეიფეთ! ჩხუბი არ გაახადოთ! კაი დრო გაატარეთ (იმნაიშვილი, II, 1974, 16)!
- 20) ვინ არ წავიდოდა, კაცო, ისეთ პატივს ცემდა (იმნაიშვილი, II, 1974, 16)!

ჩრდილო (ზემო) ქართლური:

- 1) აქვ ფთეებიცა, რო სახნისმა არ იმრუდოს (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 273).
- 2) დიდი კოლმიდევს და ბელტში ჯდება, ველისა კი დიდი არ უნდა, ველ გამსდევს (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 273).
- 3) გუთანსა აქვ საქლეში, რომელიც კბილზეა დაკრული, რო მალევ არ გაცვდეს გუთანი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 273).
- 4) თუ ლაფი გადვიდა, არ დაიფარცხება,თუ არა და ფარცხს მიადევნებენ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 273).
- 5) რაც რო მარცოლი არ გაღვიდება, თუ ავი დარი გადვიდა, რგვლათ შაყოლილ ვეტყვით (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 273).
- 6) მომკალსა ფესტამალი აქვ აკრული, მურწამურწამ არ შაწუხო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 274).
- 7) მემრე დაახუთეულებენ ან დაათეულებენ, დაამსხვილებენ, რო ნამი არ გაფარდეს (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 274).
- 8) კალოდ ჯერ მადთოხნიან, მემრე მომრწყამენ, კაბდოთი გადაახვეტამენ, გადაფვიან, კიდენ მომარწყამენ: მტვერი არ აიგდომ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 274).
- 9) გამოლმით არ გამოიდა, ჩემი არ დასეტყვა. ბეზიას უთხარი: თქვენ სულ ხატს ეხვეწებით, თქვენ ბოსტანში სეტყვა ჩამოარდ და ჩემსას არა-მეთქი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 275).
- 10) მე ნავალი არა ვარ ყიზლარში ან შირაქში (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 275).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) ზამთრისთვის გინდ ხუთი წელი შეინახე, ის არ გაფუჭდება (სოფ. მაწევანი) (სალარიძე, 1978, 186).
- 2) წყალში ცოტა ფქვილ გახსნი (გათქვეფამ) და დაასხამ, – ან მჟავე არ იყოს, ან თხელი არ იყოს, ვარაუდს გასწევ; რო მოდულდება, უზამ ქინძსა და კამასა, კვერცხსა, გადმოღებისას, – მარილსა, რო არ აიჭრას (სოფ. ჩხიკვთა) (სალარიძე, 1978, 187).

- 3) რო ადულდება, მერე ფქვილ მოუკიდამ, უნდა ურიო ლამაზათა, რო არ დაიმურკლოს ფქვილი, ჩააგდე კვერცხი და რო იდულამს კარქა, მერე გადმოიღემ ლამაზათა და მარილს მერე უზამ, რო არ აიჭრას, დაადგამ და შჭამ (სოფ. ფარცხისი) (სალარიძე, 1978, 187).
- 4) ავიღებთ ღორის ან ცცხვრის ჯიგარს, – არ გავრეცხამთ, ისე თვალ გადავაველებთ, ბეწვ, რამე მოვაშორებთ და დავჭრით წვრილათ (სოფ. ჯორჯიაშვილი) (სალარიძე, 1978, 187).
- 5) წვენი თუ მღვრია აქ, ის კერძი ხო ლაზათიანი არ არი (სოფ. გოგლეთი) (სალარიძე, 1978, 188).
- 6) არ შეიძლებოდა, რო ყეინობას არ ექეიფათ (სოფ. საღრაშენი) (სალარიძე, 1978, 189).
- 7) ვინც არ იბანავებდა, გამოჩენილი ახალგაზრდები, იმას გამოეკიდებოდნენ და უნდა ჩაეგდოთ წყალში, შენ რატო არ იბანავო, – იმ დროს ხო ციოდა (სოფ.საღრაშენი) (სალარიძე, 1978, 189)!
- 8) ერთი მაღალი კოშკია ტბისის უკან (ზევით), ბირთვისს ეძახიან, – ურემი არმუუდგება, ცხენი არ მუუდგება, რანაირათ მიიტანეს იქ ქვა და რანაირათ ააშენეს, საკურველი ამბავია (სოფ. ტბისი)! (სალარიძე, 1978, 192)
- 9) გვაჩვენე სად არი თქვენი ხემწიფეო (ლუარსაზი, ნოსტეს ხემწიფე), ამას არ უჩვენებია (სოფ. თონეთი) (სალარიძე, 1978, 194).
- 10) ლაძტის ციხეში ბატონი ცხოვრობდა, ნიგუზოლოვი (ღვევთან იყო), ის ბატონი ხო არ გვიშვებდა თავის ალაგში (სოფ. მაწევანი) (სალარიძე, 1978, 195).
- 11) მოლა მასრადინამ ცხვირზე მიიკრა კვეიო. ეგ რა არიო და ჩემ დოვლათს მე არ უყუროო?! (სოფ. თონეთი) (სალარიძე, 1978, 198).

„არ“ ნაწილაკის პარალელურად დასტურდება „არა“ ნაწილაკიც, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) იმათ ქვეყანაში თურმე არა ყოფილა წესი, რო უთხრას, რასაც მოუკლავენ (იმნაიშვილი, II, 1974, 8).
- 2) ზოგ გლებს არა ქონდა ხუთი თვისაც, მაგრამ მაინც მიჰქონდა (იმნაიშვილი, II, 1974, 10).

- 3) კედელას შვილი არა ჰყამდა. ჰყამდა ძმები (იმნაიშვილი, II, 1974, 11).
- 4) პირველათ აქა ცარიელი მინდორი ყოფილა; სოფელი არა ოფილა (იმნაიშვილი, II, 1974, 15).
- 5) ბატკანი ღამე იძინეფს ძრიენა, არა ფხიდლოფს (იმნაიშვილი, II, 1974, 28).
- 6) როცა დადგებოდა, გამოვხდიდით. ქვაბ მოვიტანდით. ყველას არა იჰქონდა ქვაბი (იმნაიშვილი, II, 1974, 38).
- 7) - მაღლოფთ, მე ამის ჭურჭელი არა მაქვსო (იმნაიშვილი, II, 1974, 40).
- 8) ამ დროს მექამა უთხრა: „მე დევეჭიდები (//დავეჭიდები), მაგრამ ტანისამოსი ვის ჩავაბარო? ნაცნობი არა მყავს“ (იმნაიშვილი, II, 1974, 41).

ჩრდილო (ზემო) ქართლური:

- 1) იმას ამოღრუტნული აქვ, იმაში თავ ჩაუყოფენ ღვედსა და ჩხირათი დაამაგრებენ, ძირუღელსა კი ეს არა აქვ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 273).
- 2) ბებიას უთხარი: თქვენ სულ ხატს ეხვეწებით, თქვენ ბოსტანში სეტყვა ჩამოარდ და ჩემსას არა-მეთქი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 275).
- 3) მე ნავალი არა ვარ ყიზლარში ან შირაქში (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 275).
- 4) ღუმა იმისი სუ ქაფია, ხორცათ არა აქ გემო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 275).
- 5) კანბი უფრო მთის ხალხმა ვიცით, აქ კიდე მატყლი იციან: მატყლი ხო არა გაქო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 276).
- 6) არა გრჯოდეს რა! - არაფერი წამოგცდეს. ჩემ პატარაობაშო, მახსომს, დედაჩემმა უთხრა ერთ მეზობელსა, კამეჩები მყავს გასაყიდო, იქნება უნდოდეს ვინმესაო, მაგრამაო, კი არა გრჯოდეს რაო. – იმ მეზობელმა უთხრა, – მა როგორ უნდა გაგაყიდინო, თუ არა მრჯოდეს რაო?! (ხც.) (მესხიშვილი, 2006, 20).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) დადღაღამ ხახვს ერბოშია, გინდ ქონშია, თუ კი არა აქ გასაქანი ოჯახსა; (სოფ. საღრაშენი) (სალარიძე, 1978, 184).
- 2) ჩვენ ხო ძმარი არა ქვექონდა და ჩიხითმაში ვხმარობდით; მხე კერძი რო დაგვჭირდებოდა, ეგ იყო ჩვენი კერძი (სოფ. მაწევანი) (სალარიძე, 1978, 186).

- 3) იქ დედაკაცი გვარობდა, მამაკაცი არა გვარობდა, ფინთი არე იყო, ცხელი ალაგი იყო ძალიან (სოფ. ტბისი) (სალარიძე, 1978, 190).
- 4) ერთი ქალი ისეთი ლამაზი იყო, დარიკოს ეძახდნენ იმას, რო ქალაქს აქეთ ქალი არა ჯობდა (სოფ. ტბისი) (სალარიძე, 1978, 191)!
- 5) ახლა კვახმა უპასუხა: ბიჭი არა ვარო?! - ბიჭი კი არა, შენ კვახი ხარო, - ხენწიფემ უთხრა. - კვახი ვარ თუ რაცა ვარო, შენი ქალიშვილი უნდა შევირთოო (იმნაიშვილი, II, 1974, 97).
- 6) ბოლოს ჩემი ხენწიფობა ვის დარჩესო, რო შვილი არა მყამსო (იმნაიშვილი, II, 1974, 96)!

როგორც მაგალითებიდან ირკვევა, ქართლური დიალექტის ყველა კილოკავში თანაბარი სიხშირითაა გამოყენებული არ ნაწილაკი ქართლის მოსახლეობის მეტყველებაში.

ფრონეს ხეობის ქართლურში „არა“ ნაწილაკს ეკისრება დარწმუნებითი ფუნქციაც მაგ.: „მე რომ არა ვყოფილიყავი, ეხლა მისი ბუნდლაც არ იქნებოდა“ (კობერიძე, 2000, 94).

არ, ვერ, ნუ ნაწილაკები იხმარება, როგორც ცალკე, ისე და, ც (ა) ნაწილაკებთან ერთად (შანიძე, 1980, 610).

ქართლურ დიალექტში „ადარ“ ნაწილაკი დასტურდება შემდეგი სახის საილუსტრაციო მაგალითებში:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ერთმა კაცმა ფული ასესხა მეორესა, მეორემ ადარ მისცა: როდის მომეციო, არ მოგიციაო. იჩივლა ილიადთან: – მინდორში მუხაჲ ქვეშ მივეცი ფულიო და ადარ მამღვესო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 279).
- 2) წინ-წინ ნათქომი ჰქონდა: შინ წადი და ადარ მოხვიდეო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 279).
- 3) ბატონი შიშით ადარ მოსულა (იმნაიშვილი, II, 1974, 11).
- 4) მიწაში მიწასა სთესამდნენ, რომ დეეჯერებინათ ბატონი და ყარაულები, რომ დასთესეს მინაძეებმა პური და ადარ გაიპარებინ (იმნაიშვილი, II, 1974, 13).

- 5) იაკოვს **აღარ დააცადეს**. ერთი კი ესროლა. გალმიდან აფიცერსა ეყურებინა დურბინდითა (იმნაიშვილი, II, 1974, 17).
- 6) ცხრა მაისს ვიყენებდით დღეობას, ახლა **აღარ ვიყენებთ** (ჩაწერილი სოფ. ოკამში).
- 7) დღეს უკვე რიცხვს **აღარ აქვს მნიშვნელობა** (ჩაწერილი სოფ. ქორდში).
- 8) ხრიოკი ადგილია და **აღარ მოიწონდათ** ჭეჭელაანთუბანი (იმნაიშვილი, II, 1974, 19).
- 9) მერე დაადგამ ცეცხლზე და მარილს უზამ. სხვა **აღარ უნდა რა** (იმნაიშვილი, II, 1974, 34).
- 10) რო ჩაიხრაკება, მერე წყალ დაასხამ, ხორცი უნდა კარგა დაიფაროს წყლითა, ხორცი **აღარ უნდა** ჩამდეს (იმნაიშვილი, II, 1974, 34).
- 11) პამიდორ რო უზამ, წყალი **აღარ უნდა** მაშინა (იმნაიშვილი, II, 1974, 35).
- 12) ფლავს **აღარ უნდა** დიდხანს ცეცხლზე დგომაი (იმნაიშვილი, II, 1974, 35).
- 13) როცა გათავდება არაყი, როცა მჟავდება და არაყის გემო **აღარ აქვს**, მაშინ გადმუაგდეფთ ქვაფსა, დავცლით ქვაფსა (იმნაიშვილი, II, 1974, 38).
- 14) შევინახამდით ცალკე ბოჭკაში ან ქვევრში. რო გაჩერდებოდა და **აღარ იდულებდა**, გამოვხდიდით არაყსა (იმნაიშვილი, II, 1974, 39).
- 15) ავჭალელმა უთხრა: ფული რო ვინმემ მომცესო, იმ ფულს **აღარ მივცემო** ჩემ სიცოცხლემდეო (იმნაიშვილი, II, 1974, 48).
- 16) სამ შაურში **აღარ უშვებენ** ამ კაცს, უთხრა მერე მცხეთელსა: - ამხანაგი არა ხარ?! (იმნაიშვილი, II, 1974, 48).
- 17) - სამი შაური **აღარა ღირს** ეს ქუდი, მომუშორებია შენი ვალი (იმნაიშვილი, II, 1974, 51).
- 18) - იმოტელანი დაცოცხლებულან, ფული რო **აღარ დახვდათ** სამ შაურობაზე , ერთ კაცს ქუდილა დაახეთქეს თავშია (იმნაიშვილი, II, 1974, 51).

ჩრდილო (ზემო) ქართლური:

- 1) ამის აქათ კოლი **აღარ გადავა**, სამძღვარ ვეტყვით (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 272).
- 2) ხან ნამგალ შაასხეპამენ ხოლმე ხელსა და სათითურებ, საცერულ იკეთებენ, რო **აღარ გეეჭრათ** ხელები (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 274).

- 3) როცა რო **აღარ დაბრუნდება**, გაიჭედება რამა, დააყენებენ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 274).
- 4) ბატკნის მატყლი ყოველთვინ კარქია და კულავითვინ **აღარ იქნება** კარქი, მშრალია (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 276).
- 5) ეხლა **აღარ მოადევს**, ვაკეთებთ, სუ თითით გვარჩინებენ თესლს. არი ყანები, მუდამ წელიწად ბრუნდება მიწა და **აღარ მოადევს** ბალახი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 277).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) ზოგ ტოტი არა ჰქონდა. ახლა ძალიან გაკაფეს, **აღარ არის**, მინდორი გახდა (იმნაიშვილი, II, 1974, 101).
- 2) ორი კომლის ნაშენი **აღარ არის**, გვარი **აღარ მაგონდება** (იმნაიშვილი, II, 1974, 107).
- 3) თუ კაი რძე აქ ცხვარს, მარტის ოცს იქითა კარზე უნდა გამორეკოს ბატკანი, **აღარ შესცივა**. თუ რომ რძე არა აქ ცხვარსა, მაშინ მარტი უნდა გაიყვანოს და მერე უნდა გამორეკოს ღამე კარში. რახან გაძლება რძითა, ფარეხში დაითენთება ბატკანი, ფარეხი **აღარ უნდა** მაშინ (იმნაიშვილი, II, 1974, 112).
- 4) ხახვი რახან თავ დაიჭერს, მორწყვა **აღარ უნდა** (იმნაიშვილი, II, 1974, 115).
- 5) რო გაირდება, **აღარ უნდა**, დრო არის იმის მოკრეფისა (იმნაიშვილი, II, 1974, 115).
- 6) მოშუშამ ფქვილსა ერბოში, – წყალში რო ჩააყარო, თუ დაიშხივლა, იმას **აღარ უნდა** მეტი (სოფ. ფარცხისი) (სალარიძე, 1978, 184).

დასავლეთ ქართლური:

- 1) თევზაობას ზენა ქარი უშლის ხელსა, თევზს ფანტამს და ნაპირზე **აღარ გამოდის** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 309).
- 2) - ვინა ხარ, კაცო, ვინ ოხერი ხარ? ჩემი ქმარი რამდენი ხანია დავმარხე, **აღარ არი** (იმნაიშვილი, II, 1974, 55).
- 3) გათენდა დილა და ეს კაცი პურის ჭამადაც **აღარ იცლის**, მიდის საქმეზე (იმნაიშვილი, II, 1974, 55).
- 4) იქ პატარა ადგილი ყოფილა, **აღარ ეყოთ**, რო მოშენდნენ (იმნაიშვილი, II, 1974, 60).
- 5) ვაზი **აღარ ჩაუყრიათ**. ვაზი არ ივარგა (იმნაიშვილი, II, 1974, 73).
- 6) გუდაძემ უთხრა: ახლა **აღარ ჭამსო** (იმნაიშვილი, II, 1974, 78).

- 7) მერე შეშინდა გურგენიძე და მუახსენა სასამართლოს: **ალარ ვჩივივარო** (იმნაიშვილი, II, 1974, 78).
- 8) ძმეფს უთხრა: მე აქ დადგომა **ალარ შემბილიაო**, უნდა წავიდეო (იმნაიშვილი, II, 1974, 79).
- 9) მერე ის ბიჭი წავიდა სხვა ქვეყანაში. შეშინდა, **ალარ გაჩერდა** იქა (იმნაიშვილი, II, 1974, 80).
- 10) ბატონმა თქვა: დამანებეთ თავიო და **ალარ წავიყვან** საქონელსო (იმნაიშვილი, II, 1974, 81).
- 11) იმათ ცოლ-შვილს თოფები **ალარ ესროლეს** და დეიმორჩილეს შემდეგ (იმნაიშვილი, II, 1974, 90).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, ქართლური დიალექტის ყველა კილოკავში თანაბრად დასტურდება „ალარ“ ნაწილაკი. „ალარ“ ნაწილაკის პარალელურად ხშირია „ველარ“ ნაწილაკის ხმარების შემთხვევებიც. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ხუთკუნჭულამ დაუძახა: – შენმა ძროხების ბრაგაბრუგმა **ველარ მამასვენაო** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 295).
- 2) მიიყვანა და ხემწიფემ თქვა: ამ ასეთმა და ისეთმა მაგაზე კარქი **ველარ ნახა?** დადგა და დაუწყო ლაპარაკი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 300).
- 3) მარჯვნივ წახვალ, **ველარ დაბრუნდები**, მარცხნივ წახვალ და შინ მშვიდობით მიხვალ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 301).
- 4) მემრე გამეეპარა ის კაცი იმ ბიჭს; რომ **ველარა ნახა** იმ ბიჭმა თავიანთი ტყვე გაიქცა სოფელში, შაატყობინა თავიანთ ხალხს (იმნაიშვილი, II, 1974, 8).
- 5) ბევრი ვეძებეო, **ველარ ვიპოვნეო**, ბნელოდა ძიანო (იმნაიშვილი, II, 1974, 39).

დასავლეთ ქართლური:

- 1) გოდორი პირშექცეულია, რო შევა თევზი, აქეთ **ველარ გამოვა** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 309).
- 2) თევზი შედის და აქეთ **ველარ გამოვა** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 309).
- 3) გოდორი პირშექცეულია, რო შევა თევზი, აქეთ **ველარ გამოვა** (გიგინეიშვილი,

- თოფურია, ქავთარაძე, 1961, 309).
- 4) - ცუდათ გავხდი, **ველარ ვიმუშავე** (იმნაიშვილი, II, 1974, 53).
 - 5) მერე ხალხი გამრავლდა და მტრები **ველარ მოდიოდნენ** (იმნაიშვილი, II, 1974, 57).
 - 6) ჩვენ **ველარ მივეცით, ველარ გედვიხადეთ** და მოგვიხდა მერე ჩხუბი (იმნაიშვილი, II, 1974, 60).
 - 7) მე უნდა დემეხოცნა, **ველარ დავხოცე**; ცოლ-შვილი წამიხდებოდა (იმნაიშვილი, II, 1974, 60).
 - 8) კამეჩები რო გავიდოდნო, **ველარ ვიპოვნითო**, იმისთანა ტყე იყო (იმნაიშვილი, II, 1974, 63).
 - 9) ახალციხე შორაც იყო, ფეხით **ველარ მოვდიოდით** სალამოზე სახში (იმნაიშვილი, II, 1974, 69).
 - 10) მერე რო **ველარ გაძლო** მარტო ბატონმა, ისიც აიყარა და ჩამოვიდა (იმნაიშვილი, II, 1974, 85).
 - 11) სასამართლოდან სახლში წასვლის დროს გზაზე მოსვლიათ ჩხუბი, სახლამდე **ველარ მოვიდნენ**, გზაზე მეეკლათ ერთიმეორე (იმნაიშვილი, II, 1974, 88).
 - 12) თავდაღმართში ურემი გამეექცათ, **ველარ დაიჭირეს** ურემი და დაინტვრიეს თავი და პირი (იმნაიშვილი, II, 1974, 89).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) ეხლა ვთქვი: „ეხლა რა ვქნა? ღვდეღთან ხო **ველარ წავალ**, წავიდე სადმე“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 329).
- 2) მემრე რო წამოსულა, ისეთი თოვლი ყოფილა, რო ფარცხის აქეთ ცხენი **ველარ წამოსულა** (სოფ. ტბისი) (სალარიძე, 1978, 192).
- 3) **ველარ მოვითმინეო** და მეორეც შევჭამეო; წამუედი გზაში და გამებერა მუცელიო; დამებადა კვახიო (იმნაიშვილი, II, 1974, 96).
- 4) ნაწილი რო უკან დაბრუნდა, თავისას **ველარ ცნობდნენ** და ჩხუბი დაუწყიათ (იმნაიშვილი, II, 1974, 102).
- 5) ჩემი წინაპრები არიან მოსული გორის რაიონიდან სოფელ ბროწლეთიდან. **ველარ აუტანიათ** ბატონის უხეში მოქმედება (იმნაიშვილი, II, 1974, 105).

ფრონეს ხეობის ქართლურში „ვერ“ ნაწილაკის მნიშვნელობით (უარყოფის მეტი დამაჯერებლობის მიზნით) იხმარება მა. მაგ.: „მა წამართმევ“ (=ვერ წამართმევ); „მა გამიხეთქავ გულს“ (=ვერ გამიხეთქავ გულს) (კობერიძე, 2000, 94).

ქართლურ მეტყველებაში ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „ვერ“ ნაწილაკს ერთვის „ც“ ნაწილაკი (ვერ+ც) და ვლემულობთ „ვერც“ ნაწილაკს, ასევე „ველარ“ ნაწილაკს ერთვის „ც“ ნაწილაკი (ველარ+ც) და ვიღებთ „ველარც“ ნაწილაკს, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ვერც უჩივლებდი, მეშინოდა; მაინც გამამტყუნებდნენ (იმნაიშვილი, II, 1974, 12).

ჩრდილო (ზემო) ქართლური:

- 1) იქ ვერც ჩვენები მიდიოდენ და ვერც ისინი მოდიოდენ (იმნაიშვილი, II, 1974, 143).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) საცა უნდა დამარხონ, დიდი გალავანი არტყია, მე შენ გითხრა, ვერც ცხენი, ვერც კაცი ვერ გადვიდეს, საცა ისინი მარხია (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 326).
- 2) მივედი იმ დროს, რო გამწარებული იყო; ველარც ძაღლებისკენ იყო, ველარც თავი ხელეფს სტუმდა (იმნაიშვილი, II, 1974, 120).

დასავლეთ ქართლური:

- 1) ეს კაცი ეუბნევა: – მე ვერც გამლახამს და ვერც ხმას გამცემსო, როგორ, ცოლი გამლახამსო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 307)?!
- 2) წამოსულიყვენ კახეთიდანა და ალში ამოსულიყვენ. ვერც მანდ გეწარდათ ბავშვები (იმნაიშვილი, II, 1974, 61).

ჩვენი დაკვირვებით, „ვერც“ უარყოფითი ნაწილაკი ხშირად მეორდება და გამოიყენება ერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებაში. ზოგჯერ „ვერც“ უარყოფით ნაწილაკს ახლავს „ვერ“: „ვერც კაცი ვერ გადავიდეს“.

როდესაც ვაკვირდებოდით უარყოფითი ნაწილაკების გამოყენების სიხშირეს ქართლურ მეტყველებაში, ადვილად შესამჩნევია ერთი ფაქტი, „ნუ“ ნაწილაკი, „არ“ და „ვერ“ ნაწილაკთან შედარებით ნაკლებად პროდუქტიულია. განსხვავებით ქართლის

სხვა კილოკავებისაგან, უფრო გამოიყენება ცენტრალურ ქართულურსა და სამხრეთ (ქვემო) ქართულურში. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) მერე დაუძახა იმ ბიჭმა: – ახლო მოხვალ, პასუხს გაგცემ შორიდან კი **ნუ იყეფებიო!** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 286).
- 2) იმ ღამეს ისევ არიგებს მამობილი: – **ნუო**, შვილო, სხვის მამულში **ნუ გადაგიდისო** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 286).
- 3) ეს სალაფავი, მძორების საჭმელი, თუ გაწითლდა, აუშვი ძაღლები და ჩემკენ გამოუშვიო, თუ არა და **ნუო** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 286).
- 4) –ესე უთხარი ხემწიფესა: წრეულ შენი სახენწიფო მგლათ გადაიქცევაო, უსვინდისო გახდება ხალხიო და კი **ნუ შეგეშინდებაო** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 290).
- 5) – გზაში მიდიოდეო, **ნურც** ძიელ წინ და **ნურც უკან** დადგებიო, როცა წვიმა იყვესო, დაბლობ ალაგას **ნუ დადგებიო**, შეგცივდეს, მალლა დადექიო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 297).
- 6) – მომაზი თოკი და ჩავალო. – არა, შვილო, **ნუ ჩახვალო** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 297).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) ღმერთო ოღონდ ამათ ხელში **ნუ ჩამაგდებ** და გამაქვავეო, ისიც გაქვავებულა (სოფ. თონეთი) (სალარიძე, 1978, 195).

მაშასადამე, ქართლურ დიალექტში უარყოფის გამოსახატავად გამოიყენება: უკუთქმითი ნაწილაკები: **არ** (არ შაწუხო), **ვერ** (ვერ გადვიდეს), **ნუ** (ნუ შეგეშინდებათ), **არა** (არა ვარ, არა აქ); **და, ც (ა)** გამლიერებით ნაწილაკებით ნაწარმოები უკუთქმითი ფორმებია: **აღარ** (აღარ მოედევს), **აღარა** (აღარა უნდა რა), **აღარც** (აღარც ჭამა მინდა და აღარც სმა), **ვეღარ** (ვეღარ მამასვენაო), **ვერც** (ვერც მანდ გეეზარდათ). „**ნუ**“ ნაწილაკი, „**ვერ**“ ნაწილაკთან შედარებით ნაკლებად პროდუქტულია. ქართლურ დიალექტში **ნუ** ნაწილაკი შედარებით ნაკლებად გამოიყენება, რაც ჩვენი მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვების მხრივაც ნათლად წარმოჩნდა, როდესაც მოსახლეობისაგან ვიწერდით

ტექსტებს თითქმის საერთოდ არ გვხვდებოდა **ნუ** ნაწილაკით გამოხატული უარყოფა, ან ძალიან იშვიათად იყო აღნიშნული ნაწილაკით უარყოფის გამოხატვის მაგალითები, რასაც ვერ ვიტყვით არ და ვერ ნაწილაკებზე.

2.4. შორისდებულთ გამოხატული უარყოფა

განსაკუთრებით საინტერესოა უარყოფის გამომხატველი შორისდებულების გამოყენებაზე დაკვირვება მეტყველების პროცესში.

„შორისდებულები, ისე როგორც ენის ძირითადი ლექსიკა, განსხვავდება დიალექტების მიხედვით. ზოგი მათგანი მხოლოდ რამდენიმე დიალექტური არეალისათვის არის დამახასიათებელი, ზოგი კი სხვადასხვა კილოში სალიტერატურო ქართულისაგან ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტით ან განსხვავებული ფუნქციით გამოიყენება“ (გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურძე, 2016, 228).

როგორც ცნობილია, „შორისდებული ადამიანის რთულ ემოციებსა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას გადმოგვცემს. შორისდებულებს ხმის საკუთარი მოდელაცია და ინტონაცია ახასიათებს. ამიტომ აფექტური ელფერი, ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს გაცილებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე სხვა მეტყველების ნაწილებს“ (ჟღენტი, 1946, 247).

ქართლურ მეტყველება უარყოფის გამომხატველი შორისდებულების გამოყენების დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა. საანალიზო მასალებში ძირითადად დავადასტურეთ **უჰ, ოჰ, ვაი, ფუი, აჰ, აჰა...** შორისდებულები. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) –დღეს წადი სკოლაში არ შეიძლება ამდენი გაცდენა, – **უჰ**, მეზარება ძალიან დღესაც არ წავალ (ჩაწერილი, სოფ. კარალეთში).
- 2) **აჰაა**, ხელი არ ახლო თორე დენი დაგარტყავს (ჩაწერილი სოფ.თორტიზაში).
- 3) **ფუი**, შენს გამზრდელს რაც შენ კარგი არ გაუზრდიხარ (ჩაწერილი სოფ. დიდი გარეჯვარი).
- 4) **ვაი**, ნეტა არ წავსულიყავი ხო ავცდებოდი ჩხუბს (ჩაწერილი სოფ.კარალეთში).

5) ფუი, შენ რა ადამიანი ხარ, ადამიანის გარდა ყველაფერი ხარ (ჩაწერილი სოფ. სვენეთში).

საყურადღებოა ოპ შორისდებულის გამოყენება წინადადებაში. ოპ შორისდებული ზოგჯერ უარყოფას გამოხატავს, მაგრამ ზოგიერთ წინადადებაში იგი აღტაცების გამომხატველად გვევლინება, შევუდართოთ ერთმანეთს შემდეგი წინადადებები, მაგალითად:

- 1) შვილო მაღაზიაში გამეგზავნები? – ოპ, არა მცალია (ჩაწერილი სოფ. სვენეთში).
- 2) ოპ, რა ლამაზად გაიშალა ჩვენს ბაღში ალუბლის ხეები (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).

პირველ წინადადებაში შორისდებული ოპ უარყოფას გამოხატავს, ხოლო მეორე წინადადებაში იგივე შორისდებული აღტაცების გამომხატველია, ეს მის მრავალფუნქციანზე მუთითებს.

ქართულ დიალექტში გამოყენებული უარყოფის გამომხატველი შორისდებულები სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ მეტად საინტერესო მაგალითები მოგვეპოვება ამ მხრივ. დასტურდება: უპ (უპ მეზარება), აპაა (აპაა ხელი არ ახლო), ფუი (ფუი შენს გამზრდელს), ვაი (ვაი, არ წავსულიყავი) შორისდებულები. „უპ“ შორისდებული გამოხატავს უარყოფას (ოპ, არ მცალია), ან აღტაცებას (ოპ, რა ლამაზია).

2.5. ორმაგი უარყოფის გამოხატვის შემთხვევები ქართულში

როგორც ვარლამ თოფურიას მოსაზრებით, ორმაგი უარყოფა ქართული ენის კილოებში უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, საიდანაც საშუალო ქართულის ძეგლებში შეადწია. „ვეფხისტყაოსანში“ უკვე თანაარსებობს, როგორც ერთმაგი, ისე ორმაგი უარყოფა (თოფურია, 2002, 321-322).

დ. იმნაიშვილის აზრით, „მთის იბერიულ-კავკასიური ენები, ამ მხრივ, ერთმანეთისაგან არ განსხვავდება; ორივე შემთხვევაში ერთმაგი უარყოფაა; უარყოფით წინადადებაში ერთი უარყოფითი ნაწილაკია, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ეს უარყოფითი ნაწილაკი ქართველურ ენათაგან ქართულსა და სვანურში სახელსაა მიკედლებული, სახელს ერთვის წინ. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში კი იგივე უარყოფითი ნაწილაკი ზმნასთანაა დაკავშირებული“ (იმნაიშვილი, 1953, 69).

მ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ, „როცა ორმაგი უარყოფის სტატისტიკას ვსწავლობთ და მისი გამოყენების სიხშირეზე ვმსჯელობთ, მხოლოდ განუსაზღვრელ წევრებიანი უკუთქმითი წინადადებით უნდა შემოვიფარგლოთ“ (მიქელაძე, 2000, 185).

ქართულ სალიტერატურო ენაში გარკვეულ შემთხვევებში ორმაგი უარყოფის ფორმები დასაშვებად არის მიჩნეული. „წინადადებაში უარყოფითობის ძირითადი გამომხატველი, ცხადია, უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია: არავინ, არარა, არაფერი, ვერავინ, ნურავინ, არსად, ვერსად, არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს... როდესაც მხოლოდ ისინია წარმოდგენილი წინადადებაში, ცალმაგი უარყოფა გვექნება. მაგრამ არცთუ იშვიათად ამგვარად გამოხატული უარყოფის გასაძლიერებლად გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკებიც: არ, ვერ, ნუ, (ან აღარ, ვეღარ, ნულარ). ჩვეულებისამებრ, თითოეული ამ ნაწილაკთაგანი იმ უარყოფით ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას შეეწყობა (მოსდევს მას), რომლის შემადგენლობაში იგივე უარყოფითი ნაწილაკი შედის: არავინ არ, ვერავინ ვერ, ნურავინ ნუ, არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ, არასოდეს არ, ვერასოდეს ვერ და მისთ“ (არაბული, 2004, 171; არაბული, რეხვიაშვილი, შარაშენიძე, შაყულაშვილი, 2006, 188).

უარყოფის ფორმებთან დაკავშირებით რ. ზექალაშვილი და მ. აბესაძე აღნიშნავენ: „ქართული ენა შესაძლებელია მივაკუთნოთ ნეგაციის გამოხატვის შერეულ ტიპს, რადგან პარალელურად გამოიყენება, როგორც მონონეგატიური, ისე პოლინეგატიური“ (ძირითადად, ორმაგი ფორმები) (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 67).

ქართლურ დიალექტში, ორმაგი უარყოფის გამოხატვის შემდეგი შემთხვევები დავადასტურეთ.

ორმაგ უარყოფას წინადადებაში გამოხატავს ნაცვალსახელი და ნაწილაკი. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) მე არაფერი არ მომეწონა თქვენს მეტი თქვენს ცხოვრებაში და თქვენ წამოგიღეთ (იმნაიშვილი, II, 1974, 46).
- 2) ვერავინ ვერ აუსხნა – ამ დიდმა ნასწავლმა ხალხმა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 290).

ჩრდილო (ზემო) ქართლური:

- 1) ძველათ არაფერი არა იყო რა (იმნაიშვილი, II, 1974, 135).
- 2) თავი რომელია და ბოლო რომელია. ვერავინ ვერ გამაიცნო (იმნაიშვილი, II, 1974, 145).
- 3) არავინ არ იყო, რო იქამდე გაესროლა (იმნაიშვილი, II, 1974, 145).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) მაშინ რატევანში არავინ არ ყოფილიყო (იმნაიშვილი, II, 1974, 100).
- 2) ამ ბატონმა ვერაფერი ვერ გაბედაო, ჩემი ქმრისა ეშინოდაო ბატონს (იმნაიშვილი, II, 1974, 110).
- 3) მიგვიდის, ვაძუფეთ და მოგვიდის სადამოთი და ვაბამთ. გაზაფხულით არაფერს არ უყრით (იმნაიშვილი, II, 1974, 111).
- 4) ჩვენ სოფელში მოდის ქერი, დიკა, კარტოფილი, ფეტვი. სხვა არაფერი არ მოდის (იმნაიშვილი, II, 1974, 133).

დასავლეთ ქართლური:

- 1) ჩემი პაპა რომ მოსულა აქ, მაშინ აქ არავინ არ ყოფილა (იმნაიშვილი, II, 1974, 58).
- 2) ჩვენი ძველები რო დასახლებულან აქა, აქ არავინ არ ყოფილიყო. ყოფილიყო ტყე (იმნაიშვილი, II, 1974, 59).
- 3) მამაჩემი იტყოდა; შიშიანობა იყო. აქ გაჩერება გვეშინოდაო. აქ სხვა არავინ არ იყო (იმნაიშვილი, II, 1974, 59).
- 4) ჩვენ უთხარით: არაფერს არ მოგცემთო, მამული სახენწიფუა. სურამამდინა გავრეკეთ აქედან (იმნაიშვილი, II, 1974, 60).
- 5) მაშინ აქა არავინ არ ყოფილა, ტყე ყოფილა და სახნავი ადგილი (იმნაიშვილი, II, 1974, 68).

დასტურდება ზმნიზედისაგან და ნაწილაკისაგან შემდგარი ორმაგი უარყოფის მაგალითები:

ცენტრალური ქართლური:

- 1) დაიარა მოჯამაგირეთ ამ კაცმა და ვერსად ვერ დადგა იმ სახენწიფოში, სოლომონ ბრძენის სახენწიფოში (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 292).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) ერთმა ეშმაკმა უთხრა, რომა: – მე ისეთი საქმე მიქნია, რომა ქვეყანაზე არასდროს არა

ყოფილა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 318).

- 2) კი არ ვასესხევიან, ორთავე თვალი დავათხრევიან და ორი ფუთი ისე მივაცემინე. შემდეგ ის პური რო გაათავეს, საშუალობა არსაიდან არა ჰქონდათ, ის ბრმა კაცი სწორეთ აქა, ამ ხიდზე, დგას და გამლეღ-გამომლეღი ფულს აძლევს და ცოლ-შვილს ვითომ აცხოვრებს (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 319).
- 3) ლეკები რო დასცემიან, რო უნდა გატეხონ, ვერსაიდან ვერ მისდგომიან, მერე ტყე გაუკაფიათ, იმ ხეობაში ჩაუყრიათ, რო ავიდნენ და გადავიდნენ ციხეში (სოფ. ტბისი) (სალარიძე, 1978, 193).

უარყოფას გამოხატავს წინადადებაში გამოყენებული ორი ნაწილაკი. ეს შემთხვევა დავადასტურეთ ცენტრალურ ქართლურში. მაგალითად: 1) სოლომონ ბრძენი ეუბნევა: – წადი დაცოლი თხოვეო, შენი გუნების ცოლი თხოვეო, შენ იმის მეტი ვერც ერთი ვერ გამცხოვრებსო (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 305).

გვაქვს ორმაგი უარყოფის ისეთი მაგალითებიც, როდესაც ნაწილაკი წინ უსწრებს ნაცვალსახელს, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

1)– ჩემ რქებზე ადი, ხოლოთ ჩემი რამეც გაიგე, რომ ამხელა რქები ამამივიდა და ჩემთვის არც ძოვნაა და არც არაფერი (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 282).

დაკვირვებისას, ყურადღება მიიქცია დასავლეთ ქართლურში, უარყოფის ისეთმა იშვიათმა შემთხვევამ, რომელშიც, არა ორმაგი, არამედ სამმაგი უარყოფა დასტურდება, რაც, ჩვენი აზრით, კვლევის პროცესში იშვიათი შემთხვევაა:

1) არც არა შენი შაქარი უნდოდა, არც არა არაფერი უნდოდა (იმნაიშვილი, II, 1974, 73).

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი სამმაგი უარყოფის მაგალითის გარდა, ქართლის მოსახლეობის მეტყველებაზე ინტენსიური დაკვირვების შედეგად აუცილებლად დადასტურდება მსგავსი ტიპის მაგალითები, რაც ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს.

ორმაგი უარყოფის საინტერესო შემთხვევები დასტურდება ქართლის ცალკეული ხეობების მეტყველებაში.

„ფრონეს ხეობის ქართლურში ერთმაგი უარყოფის პარალელურად იხმარება ორმაგი უარყოფის ფორმები: „არაფერი არ გააჩნია“; არაფერი არა ჰქონდათ“; „ვერაფრით ვერ გასიამოვნეთ“ (კობერიძე, 2000, 94).

ბორჯომის ხეობის ქართლურში გრიგოლ იმნაიშვილს შენიშნული აქვს ასეთი მაგალითები: „ვერავენ ვერ იშოვნა თევზი; პირველათ არავინ არ იცოდა (ლიკ.); სხვა არავინ არ წამოუყვანია (რველი); არაფერი არა ყანთ (ჭობისხევი) და სხვ. ის აღნიშნავს, რომ ყურადღების გამახვილების სურვილითაა გამოწვეული ორმაგი ზმნისართის ხმარებაც; მაგალითად: მერე პაპაჩემიც მოსულიყო ისევ ისე და დამდგარიყო აქა“ (ზანავი) (იმნაიშვილი, 1956, 105).

ნაცვალსახელი და ნაწილაკი გვხვდება ორმაგი უარყოფის გამოსახატავად, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) ეგ არაუშავს ხდება ხოლმე, მთავარია, რომ არაფერი არ სტკენია (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 2) ბევრი ვეძახე, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოვიყვანე გარეთ (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 3) ჩემზე ბედნიერი ამ წუთას არავინ არ არის ამ ქვეყნად (ჩაწერილი სოფ. დიცში).
- 4) ნურავინ ნუ გამომყვებით მარტო უფრო მშვიდად ვიქნები (ჩაწერილი სოფ. დიდ გარეჯვარში).

ზმნიზედა და ნაწილაკი გამოიყენება ორმაგი უარყოფის გამოსახატავად:

- 1) არასოდეს არ მინატრია სიმდიდრე (ჩაწერილი სოფ. ზერტში).
- 2) შენ ისე ძალიან მატკინე გული, რომ ამას არასოდეს არ დავივიწყებ. (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 3) არსადაც არ წავალ თქვენს ჯინაზე (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 4) ბავშვობაში არსად არ მინდოდა წასვლა (ჩაწერილი სოფ. თორტიზაში).
- 5) კი მინდა წასვლა საქეიფოთ, მაგრამ არსადაც არ, წავალ ტანსაცმელი არ მაქვს (ჩაწერილი სოფ. თორტიზაში).

შეგვხვდა ისეთი მაგალითებიც, როდესაც ორმაგი უარყოფა გამოხატულია მხოლოდ ნაწილაკებით, მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) – ემანდ სკამია და დაჯექი, – არა არ მინდა უნდა გავიდე ისევ (ჩაწერილი სოფ. მერეთში).
- 2) – პური არ გშია? – არა არ მინდა ახალი ნაჭამი მაქვს (ჩაწერილი სოფ. ზერტში).
- 3) არა არ ვარ ხალხში უკვე სახლში მივედი (ჩაწერილი სოფ. კარალეთში).
- 4) ვერა რა, ვერ დავწერე პირჯვარი (ჩაწერილი სოფ. ზერტში).
- 5) უკვე ყველაფერი ვცადე, მაგრამ არა არ უნდა დავნებდე მაინც (ჩაწერილი სოფ. რეხაში).

ამრიგად, ქართლურ დიალექტში, ისევე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში ორმაგი უარყოფის გამოსახატავად გამოყენებულია: ნაცვალსახელი და ნაწილაკი (არაფერი არ მომეწონა, არავინ არ ყოფილა, ვერაფერი ვერ გაბედა); ზმნიზედა და ნაწილაკი (არასდროს არ ყოფილა, არსაიდან არა ჰქონდათ, ვერსაიდან ვერ მისდგომიან); ნაწილაკი და ნაწილაკი (ვერც ერთი ვერ გამცხოვრებსო).

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ორმაგი უარყოფა გამოიწვია უარყოფის გაძლიერების სურვილმა (ზექალაშვილი, 2016, 30).

დასავლეთ ქართლურში მეტად საინტერესო მაგალითი დადასტურდა, როდესაც ორმაგი უარყოფის ნაცვლად შეგვხვდა სამმაგი უარყოფის მაგალითი: არცა არა არაფერი. ვფიქრობთ, საყურადღებოა მსგავსი ტიპის მაგალითების დამეზნა მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებით, რადგანაც ასეთი მაგალითები ძალიან იშვიათია.

თავი III. სიტყვაწარმოებით გამოხატული უარყოფა

ქართლურ დიალექტში

3.1. პრეფიქსით ნაწარმოები უარყოფა

სიტყვაწარმოება სალიტერატურო ენის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, „სახელის ისეთ ცვალებას, რომლის დროსაც ფუძეზე

აფიქსების დართვით განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა მიიღება, წარმოქმნა ანუ დერივაცია ეწოდება. იმ სიტყვას, რომლისაგანაც მნიშვნელობის მცვლელი აფიქსების დართვით განსხვავებული შინაარსის სიტყვა მიიღება, ძირეული სიტყვა ჰქვია, ხოლო ძირეულისაგან ნაწარმოებ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვას წარმოქმნილი ანუ დერივაციული" (მიქიაშვილი, 2003, 34- 35).

ქართულ ენაში მრავალფეროვანია სიტყვის მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები. „დერივატებად გამოყენებულია, როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა (ნათესაობითის, მოქმედებითის, ვითარებითის) ნიშნები. წარმოება სამი სახისაა: პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური. თანდებულები და ბრუნვათა ნიშნები სუფიქსი – დერივატის ფუნქციას ასრულებს. დერივატად გამოყენებული პრეფიქსები რაოდენობით ცოტაა, მაგრამ დიდად პროდუქტულია“ (ლლონტი, 1964, 87).

ქართლურ დიალექტში ისე როგორც სალიტერატურო ქართულ ენაში, ჩვენი დაკვირვებით, უარყოფის სემანტიკური ველი შესაძლებელია ლექსიკური საშუალებების გარდა გამოხატული იყოს სიტყვაწარმოების საშუალებებითაც.

„ყველა ნაწარმოები სიტყვა ლექსიკური მნიშვნელობით განსხვავდება ძირეულისაგან, მაგრამ ზოგადი მნიშვნელობა მათ მაინც მსგავსი აქვთ. წარმოქმნილი სიტყვა რაიმე ელფერით მაინც უახლოვდება ძირეულს" (კეკელია, დავითიანი, 1981, 59).

მ. ადვამის მოსაზრებით: „, ქართულ ენაში მორფოლოგიურ დონეზე უარყოფის წამოებაში მონაწილეობას ღებულობა პრეფიქსი უ- და ნაწილაკი არ(ა)-პრეფიქსის როლში" (ადვამე, 2015, 105).

ქართლურ დიალექტში უარყოფის მაწარმოებლად აბსტრაქტულ სახელებში გვხვდება უ- პრეფიქსი. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური:

- 1) **უნაფქობა**- ფქვილის უქონლობა. ესეთი **უნაფქობა ჯერ არა ქვეონია**, წისქვილში ავიტანეთ საფქვავი, ნაწეწი ფქვილი არა გვაქ შინა (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 140).
- 2) **ურამეობა** - უქონლობა, სიღარიბე. იმ **ურამეობაში** ისეთი ქორწილი გადუხადე, ჩიტო რძე არ მოდკლებია სუფრასა და კიდე საყვედურ იძლევა (რუისი) (მესხიშვილი, 2006, 140).
- 3) **უფერისი** - ვინც ვისმე შესაფერისი არ არის, – შეუფერებელი. ჩემი შვილი ვითომ რითია შენი **უფერისი**, ტრაქტორისტია, კაი შემოსავალი აქ, ტანი არ აკლია და ფეხი (ბროწლ.) (მესხიშვილი, 2006, 141).

სამხრეთ (ქვემო) ქართლური:

- 1) **უხვედრი** ალაგი- მიუვალი ალაგი ტყეში (მაწ.) (სალარიძე, 1978, 81).
- 2) იმ დროს ნადირი ძიან ყოფილა. **უხნავი** ადგილი ყოფოლა. ბალახი მეტრანახევარზე ყოფილა (იმნაიშვილი, II, 1974, 101).

ამრიგად, ქართლურ დიალექტში უ- პრეფიქსი უარყოფის გამოსახატავად დასტურდება ლექსიკურ ერთეულებში: **უ-უნაფქობა** (ფქვილის უქონლობა), **უ-ურამეობა** (უქონლობა, სიღარიბე), **უ-უფერისი** (შეუფერებელი), **უ-უხვედრი** (მიუვალი ალაგი), **უ-უხნავი** (რომელიც არ იხვნება) და სხვა. ასეთი მაგალითები მცირეა.

3.2. პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები უარყოფა

გრიგოლ იმნაიშვილის დაკვირვებით, ქართლურში ფართოდ არის გავრცელებული მრავალფეროვანი დერივაციული აფიქსები.... უ-ურ აფიქსები გამოყენებულია უქონლობის აღსანიშნავად. მაგალითად: „*უძროხური* მე ვერ გავძლეფ (ურთხვა). შდრ. *უკუდური, უბედური, უწმინდურიუ, უდღეური უცნაური*“ (იმნაიშვილი, I, 1974, 222-225).

ალგეთის ხეობის ქართლურში: „უქონლობის სახელებში გავრცელებულია **უ-ო** ტიპის წარმოება; რაც შეეხება **უ-ურ-ს** – იგი იშვიათად გვხვდება. **უ-ო**: *უწილკერძო* (მეტი სახელია კაცისა; თონ.), *უწველო*(მაგ. ოჯახი, – ვისაც წველა არა აქვს სახლში; ჩხ.); *უარზანიკო* კერძი (უცხიმო, ან საერთოდ შეუწელებელი კერძი; ფარცხ., საღრ.), *უწიალო* (=უძარღვო) (ცომი, პური; თონ., ჩხ.), *უმურაზო* (გაუხარელი, უბედო; თონ.) (სალარიძე,

1978, 81).

ალგეთის ხეობის ქართლურში თ. სალარიძეს დადასტურებული აქვს სხვა პრეფიქს-სუფიქსებიც. მაგალითად: „**უ-ურ**: *უყამური* (უთავბოლოდ მხარჯავი; თონ., საპირისპირო: ყამიანი). *უყამური* (უყმური; თონ.). ვხვდებით აგრეთვე **უ-არ**, **უ-ელ** და ოდენ **უ** პრეფიქსიან წარმოებასაც. მაგ.: **უ-არ**: *უფუარი* (გაუღვივარი; თონ.), *უღიმარი* (ვინც არასდროს არ იღიმება; კლდ.), *უმტყუნარი* (რომ არ გიმტყუნებს არასდროს. „საცა შამოჰკრამო (მათრახს), – უმტყუნარიაო, გააპობსო“; გოლთ.) და სხვა. **უ-ელ**: *უჭმელი* (ცოტას მჭამელი; ჩხ.), *უხურებელი* თონე (ჩხ.)“ (სალარიძე, 1978, 81).

ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში დასტურდება **უ-** პრეფიქსითა და **-არ** სუფიქსითა ნაწარმოები ფორმები: „**უ-სუფთ-არ-ი** (=უსუფთაო), **გამო-უ-საყენებ-არ-ი** (შდრ. **გამო-უ-სადეგ-არ-ი**); მაგ.: 1) ჭანდარი დიდია, მაგრამ გამოუსაყენებარი; 2) აბა რა აქ უსუფთარო; 3) იქა უსუფთარათა ან ვინა წავა. **უ-** პრეფიქსითა და **-ურ** სუფიქსითა ნაწარმოებია „უხელური“ და „უმზეური“. მაგ.: 1) მაყვალ ეგრე გავალ უხელური? 2) მოვიტანთ ცივ წყალსა უმზეურათა“ (კახაძე, 1953, 298).

ქართლის ყველა კუთხის მეტყველებას ახასიათებს **უ-ო** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები უარყოფითი ფორმები:

- 1) **უ-არზანიკ-ო** - შეუნელებელი, უცხიმო (ლობიო). შდრ. **უსანელო**. მე სირსველი ლობიო მიყვარს, **უარზანიკო** (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 139).
- 2) **უ-დედ-ო**: **უდედო მიწა** - უღონო, გამოფიტული მიწა (ერთაწმინ.). **უდედო ალაგი** მწირი, მოუსავლიანი ადგილი (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 139).
- 3) **უ-ერთ-ო-დ** 1. უმიზეზოდ, უსაბამოდ. **უერთოდ** ის არი, რომა მოვა კაცი, ვითომ ისე, სანახავათა და თან სხვა რამე უდეგ გუნებაშია (კავთ.). ისე გამოვიარეო, მაგრა არა მჯერა, **უერთოდ არ იქნება** მოსული (გრაკ.). 2. ცუდი ამბის გარეშე, უხიფათოდ. მაგათი ამთენი ჩხუბი და შეჯავახებაი **უერთოდ არ ჩაივლის** (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 139).
- 4) **უ-ნდომანდ-ო** - მოუხერხებელი, გაუგებარი, საქმის უცოდინარი. **უნდომანდო** არი უსიცოცხლო, უნიათო, უნდილი ადამიანი (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 140).

- 5) **უ-პირ-ო ქვა** - დიდი, მრგვალი, სიპი ქვა. **უპირო** ქვა ძნელი დასამუშავებელია, კუთხიან ქვას ადვილათ აუღევ პირსა (წინარ.) (მესხიშვილი, 2006, 140).
- 6) **უ-სანელ-ო** - უცხიმო (კერძი). შდრ. უარზანიკო. **უსანელო** ლობიო (კავთ.). როცა საცხები არა ექონდათ, გააკეთებდნენ **უსანელოსა**, წვანილ უზამდენ, ხახვსა, მარილსა და მზათ იყო (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 140).
- 7) **უ-ღალ-ო** - უცხიმო, წყალწყალა (რძე). **უღალო** რძე არი თხელი რძეი, სისუქნე რო არა აქ (ბროწლ.) (მესხიშვილი, 2006, 141).
- 8) **უ-ხარჯ-ო** - სუფთა, წმინდა. რომელიც სუფათა ხორბალია, არც მიწა ურევია, არც ბალახის თესლი, ჩვენ ვეტყვით, **უხარჯო** პური (კავთ) (მესხიშვილი, 2006, 141).

ამრიგად, ქართლური დიალექტი, პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები უარყოფის გამოხატვის მხრივაც საკმაოდ საინტერესო და მდიდარ მასალას გვაწვდის. ქართლურ დიალექტში უარყოფის გამოსახატავად ძირითადად გამოიყენება ოთხი პრეფიქს-სუფიქსი: **უ-ურ** (უბედური, უმზეური, უდღეური), **უ-არ** (გამოუსაყენებარი, უსუფთარი), **უ-ო** (უდედო, უერთო, უნდომანდო, უსანელო, უღალო, უსარჯო), **უ-ელ** (უჭმელი, უხურებელი). უფრო ხშირად გამოიყენება **უ-ო** პრეფიქს-სუფიქსი. სამხრეთ ქართლურში -ალგეთის ხეობაში დასტურდება: უ-ო, უ-ელ, უ-არ, უ-ურ; ცენტრალურ ქართლურში ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში დასტურდება უარყოფის საწარმოებლად უ-არ, უ-ურ.

3.3. უარყოფა კომპოზიტებში

ქართულ ენის ლექსიკურ შემადგენლობას სიტყვაწარმოებასთან ერთად ამდიდრებს თხზვა, ანუ კომპოზიცია (კეკელია, დავითიანი, 1981, 67).

„ფუძის გამეორება, ანუ გაორკეცება, ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტის შესადგენად, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია როგორც სახელებში, ისე ზმნებში. სახელებში ფუძის გაორკეცება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: მარტივი, თანხმოვნის დისიმილაციით, თანხმოვნის ჩავარდნით, ხმოვნის შენაცვლებით და, უკანასკნელ, დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით“ (შანიძე, 1980, 149).

ქართლურ მეტყველებაში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი უარყოფის გამომხატველი კომპოზიტები. მაგალითად:

- 1) **უარდაუარ** (უარ-და-უარ) – უარესად, ცუდად. რაც ი ოხერა გრიპი მქონდა, სუ **უარდაუარ** წავიდა ჩემი საქმეი, ფეხზე კი ველარ დავდექი და?! (კავთ.). შარშანწინ რო სეტყვამ დარეგვა ჩემი ვენახი, მას უკან **უარდაუარ** წავიდა, ველარც ვაზი გავახარე, ველარც ხილი მოვკრიფე (გრაკ) (მესხიშვილი, 2006, 138).
- 2) **უნდომანდო** (უნდო-მანდო) – მოუხერხებელი, გაუგებარი, საქმის უცოდინარი. **უნდომანდო** არი უსიცოცხლო, უნიათო, უნდილი ადამიანი (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 140).
- 3) **უსულგულო** (უსულ-გულო) ლობიო – მწვანე უმარცვლო ლობიო. **უსულგულო** ლობიოს ვეტყვით ჩვენსა ლასტ ლობიოსა, მარცვალი რო არა აქ გამოსახული (ბრ.) (მესხიშვილი, 2006, 141).
- 4) **უმარბოროტო** (უმარ-ბოროტო) – მშვიდი, წყნარი ადამიანი. ცხონებული ჩემი მამამთილი ძიენ **უმარბოროტო** ადამიანი იყო, იმი პირიდან ავ სიტყვას ვერავინ გაიგონებდა, დიდსა და პატარას სუყველას გვოიყვავებდა (ნიაბი) (მესხიშვილი, 2006, 141).
- 5) **უჯერმაჯერო** (უჯერ-მაჯერო) – რაც თავის რიგზე, თავის დროზე არ ხდება. **უჯერმაჯერო** ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებსო (ანდაზა) (მესხიშვილი, 2006, 142).
- 6) **არგასაშეები** (არ-გასაშეები) – ონავარი, ეშმაკი. მათიკოს პატარა ბიჭი ისეთი **არგასაშეები** ჰყამ, ისეთი, რო ქვეყნი ამამგდები გაირდება ისა (კავთ.). || წყევლაა. ის **არგასაშეები**, ანტონას ბიჭი, გადმოეშვა ღობეზედა და სუ ფეხით დამიჭყლიტა ქორფა წიწილები (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 20).
- 7) **არმისული** (არ-მისული) – გარკვეულ ადგილზე მისვლამდე. გორამდე შვიდი კილომეტრი **არმისული** გადაბრუნებიყოთ მანქანაი (გრაკ.). ძეგვის გზით რო წახვალთ, კავთისხევამდე ორი კილომეტრი **არმისული** წინარეხის გადასახვევია, ის გზა მიდის ქოთახევშია (კავთ.) (მესხიშვილი, 2006, 20).

ალგეთის ხეობის ქართლურში უარყოფის გამოსახატავად რამდენიმე საინტერესო შემთხვევა დასტურდება კომპოზიტებში; მაგალითად არა ნაწილაკი გამოიყენება მსაზღვრელად: „არახილი(მოცხარი. კლდ.)“ (სალარიძე, 1978, 88, 90, 91).

თ. სალარიძეს ალგეთის ხეობის ქართლურში დამებნილი აქვს ისეთი ზედსართავი სახელები, რომლებიც არსებითი სახელისაგანაა წარმოქმნილი და უარყოფას გამოხატავს. „მაგ.: „პირუბანელა (უსალმო, უცხვირპირო ადამიანი; პ. თონ., ჩხ.)“; „ხელთუქნარა („უსაქმური“; კლდ.)“; „მოლუხაბრო (რისამე არმცოდნე; კლდ.)“ (სალარიძე, 1978, 88, 90, 91).

როგორც გაანალიზებულ მაგალითებიდან ჩანს, უარყოფის გამოხატვა კომპოზიტებში ასეთ სურათს გვაძლევს: ხშირად გამოიყენება უ-ო პრეფიქს-სუფიქსი (უნდომანდო, უჯერმაჯერო..) და არ ნაწილაკი (არგასაშვები..). ეს მოვლენა შენიშნული აქვთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 64; ადვამე, 2015, 106).

3.4. უარყოფა ტოპონიმებში

ალექსანდრე ღლონტის აზრით, ტოპონიმოლოგიაში გამოიყოფა „როგორც მიკრო, ისე ვრცელი გეოგრაფიული მონაკვეთის ტოპონიმოლოგია, ე.ი. სახელწოდებანი დასახლებული ადგილებისა – სოფლისა, ქალაქისა, რაიონისა, ოლქისა, ხეობისა, ვინაიდან მოსახლეობა სწორედ აქ იყო ყოველთვის განლაგებული. ერთი რომელიმე გეოგრაფიული რაიონის ადგილის სახელწოდებათა ერთობლიობა, გაწყობილი ანბანის რიგზე, იქნება ამ რაიონის ტოპონიმოლოგიური ლექსიკონი“ (ღლონტი, 1964, 134).

ქართული დიალექტური ლექსიკა მდიდარია ტოპონიმებით; ამ მხრივ საინტერესოა ქართლურ დიალექტში არსებული უარყოფის გამოხატვა ტოპონიმებში. სოფლის სახელწოდებებში უარყოფა გამოხატულია, საილუსტრაციო შემდეგი სახის მაგალითში: არაშენდა (არ+აშენდა), სადაც „არ“ უარყოფითი ნაწილაკია, „აშენდა“ ზმნა და სწორედ ნაწილაკისა და ზმნის შეერთებით მივიღეთ სოფლის სახელწოდება „არაშენდა“. მსგავსი მაგალითია ასევე შემდეგი სოფლის სახელწოდება: არანისი და ა.შ.

ქართლურ დიალექტში არსებული უარყოფის გამომხატველ ტოპონიმთა განხილვისას მოვიშველიეთ ნინო ოქროპირიძის ნაშრომი – „გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი“, სადაც შეგვხვდა, ჩვენი ინტერესის სფეროდან გამომდინარე, მეტად საინტერესო მაგალითები; მაგალითად სოფელ არაშენდას საინტერესო ისტორია უდევს საფუძვლად, თუ რატომ დაერქვა ამ სოფელს სახელწოდება „არაშენდა“, ამ სოფლის შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს: „ადრე სოფელი მთაზე ყოფილა გავრცელებული და აღორძინების წყარო ერქვა. იქ ახლაცაა შემორჩენილი ნასახლარები. ამ ადგილიდან 400-ოდე მეტრზე გაუვალი ჭაობი ყოფილა. იქ ისეთი ლელი იზრდებოდა, რომ თურმე სადღობელას ჩამოაბამდნენ ლელზე და ისე დღვებამდნენ დოსა. როცა სოფელს ლეკები შემოესოდნენ ხოლმე, ხალხი ამ ჭალას აფარებდა თავსა. ერთხელაც გადაუწყვეტია სოფელსა, ლეკებისაგან თავის დასაცავად ციხე-კოშკი აეშენებინა ჭალაში. დიდი მონდომებით შედგომიან კიდეც შენებასა, მაგრამ არ იქნა და საშველი არ დაადგა ციხის აშენებას. რამდენიც კედლებს მალლა აშენებდნენ იმაზე მეტს ძირს იწევდა , და ბოლოს ჩაიძირა კიდეცა. ხალხმა ხელი აიღო მშენებლობაზე. როცა მეზობელი სოფლებიდან ეკითხებოდნენ –ციხე აშენდაო, პასუხი ერთი იყო – არ აშენდა, – ამიტომაც ამ ადგილს არაშენდა დაარქვეს და და ბოლოს ეს სახელი მთელსოფელსაც შეერქვა“ (მთხრობელი ოქროპიროძე შაქრო, 105 წლისა, ჩაწერილია 1971წ.) (ოქროპირიძე, 2012, 16-17).

ნინო ოქროპირიძის მიერ შედგენილ „გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონში“ დასტურდება შემდეგი სახის უარყოფის გამომხატველი ტოპონიმები: **არცეულა** ადგ. ქვეში; **არცეულები** ბაღ. სათემო; **არხვეითა** ვენ. კირბალი; **ვერის ბაგა** ვენ. ატენი – მიხანაანთ უბანი; **უთავბოლო ხევი** ხევ. ატენი – მიხანაანთ უბანი. „ძალიან გრძელი ხევია, არც თავი უჩანს, არც ბოლო. ამიტომ შეურქმევიათ ეს სახელი“ (ოქროპირიძე, 2012, 18, 19, 65, 181).

ურწყავები სახ-სათ. გარდატენი. აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „მიწის იმ ნაჭერს, რომელსაც თავისი მოსარწყავი წყალი ჰქონდა „სარწყავი“ ეწოდებოდა, ისევე, როგორც მოსარწყავი წყალის არმქონეს „ურწყავი“ (ჯავახიშვილი, 1930, 141; ოქროპირიძე, 2012, 182).

ნინო ოქროპირიძის მიერ შეგროვილ „გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონში“ შეგვხვდა ისეთი სახის უარყოფის გამომხატველი ტოპონიმების მაგალითები, სადაც ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა სოფლებში არსებულ ადგილებს ჰქვიათ, მაგალითად: „ურწყავები სახნ. მეჯვრისხევი“; „ურწყავები სახნ.-სათ. გუგუტიანთ კარი“; „ურწყავები სახნ.-სათ. ფლავისმანი“; „ურწყავები ვენ. პატ. ატენი“; „ურწყავები სახნ.-სათ. ქერე“; „ურწყავებისახნ.-სათ. ახალუბანი“; „ურწყავი სახნ.-სათ. თორტიზა“; „ურწყავი ვენ. დიცი“; „ურწყავი სახნ.-სათ. ციცაგიანთ კარი“; „ურწყავი მინდ. ქვ. ახალსოფელი“; „ურწყავი ველი მინდ. მეჯვრისხევი“; „უწყინარები ვენ. ახრისი“; „უწყინარები სახნ.-სათ. თორტიზა. „ამ მიწებმა განაწყენება არ იცის. ყოველგვარ ამინდში მოდის მოსავალი, გვალვაშიცა და წვიმაშიც“; „უწყინარები სახნ.-სათ. მეჯვრისხევი (ოქროპირიძე, 2012, 182, 183, 185).

„გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონში“ დასტურდება უ- პრეფიქსით ნაწარმოები უარყოფითი ტოპონიმები: **უყვედურები** სახნ.-სათ. სვენეთი. „მწირი ნიადაგია, ხალხი ყოველთვის საყვედურობდა და უჩიოდა ამ ადგილს. სახელიც ამიტომ შეერქვა“; **უძირო წყ. რეხა**; **უძირუები** სახნ.-სათ. არაშენდა. „ამ ადგილზე გაუვალი ჭაობი ყოფილა. ფეხის დადგმითაც კი მიწა დაბლა იწევდა“ (ოქროპირიძე, 2012, 184, 185).

განხილული საანალიზო მაგალითები გვიჩვენებს, რომ ქართლურ დიალექტში აქტიურად გამოიყენება უარყოფა ტოპონიმებში: **არაშენდა** (სოფლის სახელი); **არცეულა** (ადგილი ქვეშში, ბალი სათემოში); **არხვეითა** (ვენახი კირბალში); **უთავბოლო ხევი** (ატენში); **უძირო** (წყალი რეხაში)... ხშირად უ- პრეფიქსით ნაწარმოები ერთი და იგივე ადგილის სახელწოდებები სხვადასხვა სოფლებში დასტურდება: **ურწყავები** (სახნავი ადგილი მეჯვრისხევიში, ფლავისმანში, ქერეში, ახალუბანში, თორტიზაში, დიციში, ახალსოფელში, ახრისში). აღნიშნული ადგილის სახელწოდება უმეტეს შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

დასკვნა

1. სამაგისტრო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, გაანალიზებულია და შესწავლილია უარყოფის სემანტიკური ველი ქართლურ დიალექტში. საანალიზო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ქართლში ენათმეცნიერთა მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები და ჩვენ მიერ მოძიებული მასალა (დიცი, არბო, მერეთი, კომკა, კარალეთი, დიდი გარეჯვარი, რეხა, თორტიზა, ზერტი, ძევერა, მეჯვრისხევი, სვენეთი, ქვემო ჭალა, ოკამი, ალაიანი, თვალადი..).
2. განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი მდიდარი და მრავალფეროვანია ქართლური დიალექტი კილოკავებსა და ხეობებში უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებებით.
3. კვლევის პროცესში, უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებები გამოვყავით ცალკ-ცალკე ქვეთემებად, ქართლური დიალექტის მდიდარმა ლექსიკამ მოგვცა საშუალება გამოგვეყო უარყოფის მრავალფეროვანი სემანტიკური ჯგუფები, კერძოდ კი: უარყოფის გამოხატვა ნაცვალსახელებით, უარყოფის გამოხატვა ზმნიზედებით, უარყოფის გამოხატვა ნაწილაკებით, უარყოფის გამოხატვა შორისდებულებით, ორმაგი უარყოფის გამოხატვის შემთხვევები, პრეფიქსითა და პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები უარყოფის ფორმები, უარყოფა კომპოზიტებსა და ტოპონიმებში.
4. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართლურ დიალექტში აქტიურად გამოიყენება შემდეგი უარყოფითი ნაცვალსახელები: **არაფერი, ვერაფერი, არავინ (არავინა), ვერავინ, აღარავინ**; უარყოფის გამლიერების მიზნით **„არაფერ“** ნაცვალსახელს ახლავს **„მეტი“** (მეტი არაფერი). **„არაფერი“** უარყოფითი ნაცვალსახელი ხშირად დასტურდება სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმით (არაფერი მოვიდაო, არაფერს აკეთებს); იშვიათ შემთხვევაში **„არაფერი“** გვხვდება მსაზღვრელად (არაფერი ამბავი); სამხრეთ ქართლურ მეტყველებაში უარყოფით ნაცვალსახელს ახლავს ნაწილაკით გამოხატული უარყოფაც (არაფერი გამჩნევა არ არის); იშვიათად დასტურდება უარყოფით ნაწილაკთან **„ნაირ“** სიტყვის კომბინაციით მიღებული უარყოფითი ნაცვალსახელები

- (არანაირი, ვერანაირი...). ზოგჯერ „არანაირი“ მსაზღვრელადაც დასტურდება (არანაირი ექიმი), ხშირ შემთხვევაში კი მთელი მოქმედების უარყოფას გამოხატავს (ვერანაირად ვაპატიებ).
5. ქართლური დიალექტის საანალიზო მასალებში უარყოფის გამოსახატავად დასტურდება ზმნიზედები: **არსად** (არსად მინახია), **არსაიდან** (არსაიდან გაუვა), **ვერსად** (ვერსად დაინახა), **ნურასდროს** (ნურასდროს გაუკეთებ), **არასოდეს** (არასოდეს თქვა არასოდეს), **ვერასდროს** (ვერასდროს წავალ), **ნურასოდეს** (ნურასოდეს მოიქცევი), **აღარასდროს** (აღარასდროს დავიჭერ)... ისინი, მსგავსად სალიტერატურო ენისა, გამოხატავენ დროს ან ადგილს, მაგრამ უარყოფენ ზმნით გამოხატულ მოქმედებას.
 6. ქართლურ დიალექტში უარყოფის გამოსახატავად გამოიყენება: უკუთქმითი ნაწილაკები: **არ** (არ შააწუხო), **ვერ** (ვერ გადვიდეს), **ნუ** (ნუ შეგეშინდებათ), **არა** (არა ვარ, არა აქ); **ღა, ც (ა)** გამლიერებით ნაწილაკებით ნაწარმოები უკუთქმითი ფორმებია: **აღარ** (აღარ მოხდეს), **აღარა** (აღარა უნდა რა), **აღარც** (აღარც ჭამა მინდა და აღარც სმა), **ვეღარ** (ვეღარ მამასვენაო), **ვერც** (ვერც მანდ გეეზარდათ). „**ნუ**“ ნაწილაკი, „**ვერ**“ ნაწილაკთან შედარებით ნაკლებად პროდუქტულია. ქართლურ დიალექტში აღსანიშნავია, რომ **ნუ** ნაწილაკი გამოყენების სიხშირის მხრივ შედარებით ნაკლებად გამოიყენება, რაც ჩვენი მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვების მხრივაც ნათლად წარმოჩნდა, როდესაც მოსახლეობისაგან ვიწერდით ტექსტებს, თითქმის საერთოდ არ გვხვდებოდა **ნუ** ნაწილაკით გამოხატული უარყოფა, ან ძალიან იშვიათად იყო აღნიშნული ნაწილაკით უარყოფის გამოხატვის მაგალითები, რასაც ვერ ვიტყვით **არ** და **ვერ** ნაწილაკებზე.
 7. ქართლურ დიალექტში გამოყენებული უარყოფის გამომხატველი შორისდებულები სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ მეტად საინტერესო მაგალითები მოგვეპოვება ამ მხრივ. დასტურდება: **უჰ** (უჰ მეზარება), **აჰაა** (აჰაა ხელი არ ახლო), **ფუი** (ფუი შენს გამზრდელს), **ვაი** (ვაი, არ წავსულიყავი) შორისდებულები. „**უჰ**“ შორისდებული გამოხატავს უარყოფას (ოჰ, არ მცალია),

ან აღტაცებას (ოჰ, რა ლამაზია); ქართლური მეტყველებისათვის იშვიათადაა დამახასიათებელი: **ვიიჰე-ვიე! ვოჰშიმე! ოჰ-ში-მე!** შორისდებულები.

8. ქართლურ დიალექტურ მეტყველებაზე დაკვირვებისას საინტერესო იყო, როგორც ერთმაგი (ცალმაგი) უარყოფის, ისე ორმაგი უარყოფის შემთხვევები მეტყველების პროცესში. ორმაგი უარყოფის მაგალითებში უარყოფა გაძლიერებული ემოციითაა გამოხატული; ქართლურ დიალექტში, ისევე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში ორმაგი უარყოფის გამოსახატავად გამოყენებულია: **ნაცვალსახელი და ნაწილაკი(არაფერი არ მომეწონა, არავინ არ ყოფილა, ვერაფერი ვერ გაბედა); ზმნიზედა და ნაწილაკი (არასდროს არ ყოფილა, არსაიდან არა ჰქონდათ, ვერსაიდან ვერ მისდგომიან); ნაწილაკი და ნაწილაკი (ვერც ერთი ვერ გამცხოვრებსო).**
9. დაკვირვებისას, ყურადღება მიიქცია, დასავლეთ ქართლურში, უარყოფის ისეთმა იშვიათმა შემთხვევამ, რომელშიც არა ორმაგი, არამედ სამმაგი უარყოფის ფორმა დასტურდება(**არცა არა არაფერი უნდოდა**).
10. ქართლური დიალექტურ ლექსიკაში დასტურდება, როგორც პრეფიქსული, ისე პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. ქართლურ დიალექტში დასტურდება უ-პრეფიქსის გამოყენება უარყოფის გამოსახატავად ლექსიკურ ერთეულებში: **უნაფქობა** (ფქვილის უქონლობა), **ურამეობა** (უქონლობა, სიდარიბე), **უფერისი** (შეუფერებელი), **უხვედრი** (მიუვალი ალაგი), **უხნავი** (რომელიც არ იხვნება) და სხვა. ქართლურ დიალექტში უარყოფის გამოსახატავად ძირითადად გამოიყენება პრეფიქს-სუფიქსები: **უ-ურ** (უბედური, უმზეური, უდღეური), **უ-არ** (გამოუსაყენებარი, უსუფთარი), **უ-ო** (უდედო, უერთო, უნდომანდო, უსანელო, უღალო, უსარჯო), **უ-ელ** (უჭმელი, უხურებელი). ქართლური დიალექტის მდიდარმა და მრავალფეროვანმა ლექსიკამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო უარყოფითი მახასიათებლები კომპოზიტებსა და ტოპონიმებში. დაკვირვებისას მრავლად შეგვხვდა უარყოფის გამომხატველი კომპოზიტები: **უარდაუარ, უნდომანდო, უსულგულო** და ა.შ. ქართლურ დიალექტში აქტიურად გამოიყენება უარყოფა ტოპონიმებში: **არაშენდა** (სოფლის სახელი); **არცეულა** (ადგილი ქვეშში, ბაღი სათემოში); **არხვეითა** (ვენახი კირბალში); **უთავბოლო**

ხევი (ატენში); **უბირო** (წყალი რეხაში)... ხშირად **უ-** პრეფიქსით ნაწარმოები ერთი და იგივე ადგილის სახელწოდებები სხვადასხვა სოფლებში დასტურდება: **ურწყავები** (სახნავი ადგილი მეჯვრისხევში, ფლავისმანში, ქერეში, ახალუბანში, თორტიზაში, დიცში, ახალსოფელში, ახრისში). აღნიშნული ადგილის სახელწოდება უმეტეს შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. უარყოფის გამოხატვა კომპოზიტებსა და ტოპონიმებში ასეთ სურათს გვაძლევს: ძირითადად გამოიყენება **უ-ო** პრეფიქს-სუფიქსი (უნდომანდო, უჯერმაჯერო..) და **არ** ნაწილაკი (არგასაშვები..). ეს მოვლენა შენიშნული აქვთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ზექალაშვილი, აბესაძე, 2016, 64; ადვაძე, 2015, 106).

11. ქართლში მცხოვრებ მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვება საინტერესო და მდიდარ მასალას გვაწვდის უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებების მხრივ, რაც ჩვენ მიერ ჩაწერილ დიალექტურ მასალებში დადასტურდა; მაგალითად: **არ მოვა კარგი მალინა; გემოც არ ექნება კარგი; არც ძალიან სქლად და არც ძალიან თხლად; არაფერი არ ებადათ...**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ადვაძე, 2015** – მ. ადვაძე, უარყოფის პრაგმატული ასპექტები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით); იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი „დისერტაცია“, თელავი, 2015.
2. **ანტონ I, 1885** – ანტონ I, ქართული დრამმატიკა, შედგენილი ანტონ პირველის მიერ, ტფილისი, 1885.
3. **არაბული, 2004** – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004.
4. **არაბული, შარაშენიძე, რეხვიაშვილი, შაყულაშვილი, 2006** – ა. არაბული, ნ. შარაშენიძე, ქ. რეხვიაშვილი, მ. შაყულაშვილი, ქართული ენა, გამომცემლობა „წყაროსთვალი“, თბილისი, 2006.
5. **რექტორი, 1970** – გაიოზ რექტორი, ქართული დრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლეიშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1970.
6. **გეგუჩაძე, 2007** – ლ. გეგუჩაძე, ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში: კრებული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბილისი, 2007.
7. **გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, I, თბილისი, 1961.
8. **გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016** – გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბილისი, 2016.
9. **ზექალაშვილი, 2016** – რ. ზექალაშვილი, უარყოფის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები ქართული ენის დიალექტებში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, 14-15 ივნისი, თბილისი, 2016.
10. **ზექალაშვილი, აბესაძე, 2016** – რ. ზექალაშვილი, მ. აბესაძე, უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. „წელიწდეული, VIII, ქუთაისი, 2016.
 11. **თოფურია, 1963** – ვ. თოფურია, ქართლურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1963.
 12. **თოფურია, 1923-1924** – ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, თბილისი, 1923-1924.
 13. **თოფურია, 2002** -- ვ. თოფურია, შრომები, ტ.II, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 2002.
 14. **იმნაიშვილი, 1956** – გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება VIII, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956.
 15. **იმნაიშვილი, I, 1974** – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.
 16. **იმნაიშვილი, II, 1974** – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.
 17. **იმნაიშვილი, 1953** – დ. იმნაიშვილი, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1953.
 18. **კახაძე, 1953** – ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება IV, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.
 19. **კეკელია, დავითიანი, 1981** – შ. კეკელია, ავ. დავითიანი, ქართული ენა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981.

20. **კვაჭაძე, 2001** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი, 2001.
21. **კობერიძე, 2000** – მ. კობერიძე, ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართულურში: საენათმეცნიერო ძიებანი X, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2000.
22. **მესხიშვილი, 2006** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 2006.
23. **მიქელაძე, 2000** – მ. მიქელაძე, ქართული უარყოფის სისტემისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი X, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი 2000.
24. **მიქიაშვილი, 2003** – ო. მიქიაშვილი, ქართული ენა, თბილისი, 2003.
25. **ორბელიანი, 1991** – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991.
26. **ოქროპირიძე, 2012** – ნ. ოქროპირიძე, გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი, გამომცემლობა „ფარნავაზი“, გორი, 2012.
27. **ჟღენტი, 1946** – ს. ჟღენტი, შორისდებული ახალ ქართულ სალიტერატურო ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946.
28. **სალარიძე, 1978** – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.
29. **ქურდაძე, თვალთვაძე, ლომია და სხვები, 2016** – რ. ქურდაძე, დ. თვალთვაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. ზექალაშვილი, უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში; ჟურნალი „ქართველოლოგი“ 25 (10), თბილისი, 2016.
30. **ქურდაძე, თვალთვაძე და სხვები, 2016** – რ. ქურდაძე, დ. თვალთვაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. ზექალაშვილი, ს. ომიადე, ნაწილაკებითა და აფიქსებით ნაწარმოებ უარყოფით ფორმათა სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში: მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2016.

31. **ღლონტი, 1980** – ალ. ღლონტი, არ და ვერ ნაწილაკები ქართულში: ფილოლოგის ჩანაწერები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980. .
32. **ღლონტი, 1964** – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1964.
33. **შანიძე, 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 3, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
34. **შანშოვანი, 1881** – ზ. შანშოვანი, მოკლე დრამატიკა ქართული ენისა ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1734 წელსა, სანკვეტერბურგი, 1881.
35. **შერაზადიშვილი, 2013** – მ. შერაზადიშვილი, ნაწილაკის საკომუნიკაციო ფუნქციისათვის ქართულში, გამომცემლობა „საარი“, 2013.
36. **ჩუბინაშვილი, 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალექსანდრე ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961.
37. **ძიძიგური, 1990** – შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990.
38. **ჭუმბურიძე, 1970** – ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებები: ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №2, თბილისი, 1970.
39. **ჯავახიშვილი, 1930** – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, 1930.
40. **ჯორბენაძე, 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
41. **ჯორბენაძე, 1984** – ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1984.

დიალექტური ტექსტები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ვცდილობდით გამოგვეკვეთა და მოგვეძიებინა სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში არსებული უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართლურ დიალექტში. ამ მხრივ, ბევრ საინტერესო მაგალითს შევხვდით, რომლებიც უკვე ჩაწერილი და გაანალიზებული იყო ცნობილი მეცნიერ-მკვლევარების მიერ. ამის გარდა, არანაკლებ საინტერესო მაგალითების და ტექსტების ჩაწერა მოვახერხეთ უშუალოდ მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებით.

ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები მოიცავს სოფლის მეურნეობაში არსებულ სამუშაოებს, კერძების რეცეპტებს, სამკურნალო მცენარეებს, ლეგენდებს და ზედმეტ სახელებს, რომლებშიც ვხვდებით უარყოფის გამოხატვის ენობრივ საშუალებებს. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ მხრივ მოძიებული მასალები.

სოფლის მეურნეობა

მალინის მოვლა

მალინის ძირების გასუფთავებას ადრე გაზაფხულზე ვიწყებ, სანამ ფოთლის გამოტანას დაიწყებს, დაახლოებით მარტის დასაწყისში, ზამთარს გააჩნია. ჯერ ვაცლი ხმელ ძირებს, ადვილი მოსატეხია ეს ბხმელი ძირები გადასწევ ხელით და ეგრევე ტყდება. ამის შემდეგ ვსხლავ ვაზის სასხვლეკი მაკრატილით ნედლ ძირებს დაასხლოებით ერთ მეტრზე ან ცოტა უფრო დაბალზე, **არც ძალიან** ძირში **არ უნდა** გავსხლათ თორე მერე **აღარ მოისხავს** ბევრს. ამის მერე ძირებს უთოხნი ფრთხილად, რომ **არ გავაფუჭო** ძირები. როცა მალინა ფოთოლს წამოიღებს ძირებში შეიძლება კიდე იყვეს ბალახები და ისინიც უნდა გაიმარგლოს ხელით ან თოხით მოეთოხნოს. ყვავილობის პერიოდში როცა უკვე სხმას დაიწყებს საჭიროა მორწყვა კვირაში ერთხელ მაინც, მოურწყველად **არ მოვა** კარგი მალინა, გაწვრილდება და გემოც **არ ექნება** კარგი, შეიძლება ზედაც შეახმეს. მორწყვის პერიოდში თუ გვარჯილას დააყრი თხლად

ძირებში უკეთესი იქნება, მალინა დამსხვილდება და ძირებიც გაჯანსაღდება. როცა მალინა სიმწიფეს დაიწყებს ყოველ ორ დღეში ერთხელ უნდა მოკრეფა თორე მერე დაცვენა იცის, კრეფისას უნდა სიფრთხილე გამოვიჩინოთ, თორე ადვილად იმტვრევა ტოტები. ისე სიმართლე რომ გითხრა უკეთესია როცა მალინის ძირებს ვრგავთ, ერთ ზოლზე ჩავამწკრიოთ და გვერდებზე არ გამოვუშვათ, რომ ადვილი მოსაკრეფი იყვეს. დამწიფებიდან მალინა დაახლოებით ერთი თვის მანძილზე იკრიფება.

სოფ. კარალეთი, მთქმელი: ლია არჩუაძე, 52 წლის.

ნივრის თესვა

ჩვენ სოფელში ნიორი საკმაოდ გავრცელებულია, კარგად მოდის აქაურ მიწებზე. ნიორი შემოდგომის ბოლოს, ნოემბრის თვეში ითესება. ჯერ უნდა გავამზადოთ მიწა დასათესად, ნაადრევად ვხნამთ მიწას და ვაფხვიერებთ, შემდეგ ვაკეთებთ სიგრძეზე კვლებს და ვამზადებთ დასათესად. ნიორი ჯერ უნდა დავკბილოთ, სათესლეთ უნდა კარგი და მსხვილი თავები ავარჩიოთ, დავკბილვისას მსხვილ კბილს გამოვარჩევთ სათესლეთ, ხოლო გულს, ანუ ანაგულს ვეძახით ხოლმე, არა ვთესავთ. ზოგიერთი სანამ ნიორს დათესავს კვლებში ნაცარსაც აყრის უფრო კარგი ნიორი იცისო ასე იძახიან, მე არ ვაყრი ნაცარს პირდაპირ ვთესავ, ხან შხამით ვწამლი ნივრის კბილს, ვაშრობ და კვლებში თავით ვარჭობ თითო-თითო კბილს დაახლოებით ხუთ სანტიმეტრში და ასე სისწორეზე მივყვები, შემდეგ ვაყრი მიწას არც ძალიან სქლად და არც ძალიან თხლად.

სოფ. ზერტი, მთქმელი: ჯემალ ტერუნაშვილი, 55 წლის.

საჭმლის რეცეპტები

ტყემლის საწებელი

მწიფე ტყემალი ცოტა ქინძთან და პიტნასთან ერთად უნდა გაითუთქოს ცეცხლზე კარგად, მერე ვაცადოთ გაციება. რომ გაცივდება თუმფალანგზე დავასხათ და გავხეხოთ კარგად, კურკები არ უნდა მიყვეს, რო გავხეხავთ უნდა შევაგემოთ ამისთვის დაგვჭირდება ქინძი (უმჯობესია აყვავებული იყოს და თესლიანი), ნიორი, სუნელები, დაფქვილი მწარე წითელი წიწკა, ომბალო, მარილი და შაქარი. ქინძს და ნიორს ვატარებთ ხორცის მაშინკაში, და ყველაფერ ამას ვაყრით გახეხილ ტყემალს და კარგად ვურევთ, შაქარი შეგვიძლია არც დავაყაროთ, ეს გემოვნებაზეა, ზოგს ტკბილი უყვარს ზოგს მჟავე, მე მაგალითად მჟავე მირჩევნია აბა ტკბილი მურაბა ხო არ არი. როცა ყველაფერი გაიხსნება, წინასწარ დარეცხილ და გამშრალეულ ბოთლებში ბასხამთ, ბოთლს წვეთი წყალიც კი არ უნდა ქონდეს თორე არ შეინახება ზამთრისთვის, მერე ვახურავთ პროპკებს და ვინახამთ ზამთრისთვის.

სოფ. დიდი გარეჯვარი, მთქმელი: მანანა გოგიაშვილი, 48 წლის.

ბადაგი

ბადაგი ყურძნის ახლად გამოწურული წვენიდან კეთდება. ყურძენს რომ დავწურამთ ხოლმე, არ ვამაჭრებთ, მანამ უნდა გაკეთდეს ბადაგი. ვადულებთ ყურძნის წვენს, როცა ადუღდება ქაფის მოგდება იცის ხოლმე და პერიოდულად უნდა მოვაცალოთ კოვზით ქაფი, როცა ქაფს აღარ მოიგდებს ზემოდაბ უკვე მზადაა ჩვენი ბადაგი, ხო კიდე თუ სიტკბო აკლია ან ტკბილი გვინდა პესოკს ვამატებთ ხოლმე, რა თქმა უნდა ეს გემოვნებაზე ვის როგორიო უნდა. მომზადებულ წვენს ვასხამთ ბოთლებში ან ბანკებში და ვახურავთ მჭიდროდ ჰაერი რომ არ შევიდეს, აი მაგალითად მე შამპანიურის ბოთლები რომ არის იმაში მიყვარს ჩასხმა, კარგადაც ინახება ზამთარში, თუ ჰაერი შეეპარა იცოდე არ შეინახება და დამაჭრდება და მერე დამმარდება.

სოფ. კარალეთი, მთქმელი: მაია შაყულაშვილი, 45 წლის.

მარწყვის კამპოტი

მარწყვს უნდა თავები მოვაცალოთ, გავრეცხოთ, ძალიან არ უნდა მოუჭიროთ ხელი რო არ ადაიჭყლიტოს, მანამდე კი უნდა გავამზადოტ ბანკები რაშიც უნდა მოვათავსოთ კამპოტი. თუ სამ ლიტრიანებში ვაკეთებ ჩავყრი სამ მუჭა მარწყვს, ძალიან ცოტა არ უნდა იყვეს, დავაყრი სამ ღვინის ჭიქა პესოკს და დავასხამ ცივ წყალს, დავადებ ხუფს და დავდგავ სტერლიზაციაზე. დაახლოებით, როცა ადუღდება, ოცი წუთის მერე ვხუფავ სახუფით დაპირქვე ვამხოხ სანამ გაცივდება.

სოფ. თორტიზა, მთქმელი: მარიკა სირბილაძე, 29 წლის.

ჩურჩხელა

კაკალი უნდა დავამტვრიოთ, მერე გამოვარჩიოთ ნიგოზი და ავასხათ ძაფზე დაახლოებით ოც ან ოცდაათ სანტიმეტრზე, ასხმულ ნიგოზს ვუკეთებთ თავებს ისე რომ ამოვლების დროს არ გაწყდეს. მერე ვამზადებთ საჩურჩხელე თათარას. ვიღებთ მოზრდილ ქვაბვასხამთ შიგ ბადაგს და ვაყრით ფქვილს ლიტრაზე სამ ღვინის ჭიქას, მერ ე ვხსნით ფქვილს ბადაგში და ვურევთ რომ არ დაიკმურწლოს. როცა გასქელდება და შუშვას დაიწყებს თათარაც მზად არის. ამის შემდეგ იწყება ჩურჩხელის ამოვლება , ვიღებთ სათითაოდ ასხმულ ნიგოზს და ვავლებთ თათარაში ისე რომ ლამაზები გამოვიდეს, ამოვლებულ ჩურჩხელას მე პირადად წინასწარ გამზადებულ მაგარ ჯოხზე ვკიდებ ადგილგამოტოვებით ერთმანეთს რომ არ მიეკრან, შემდეგ როცა დავამთავრებ ამოვლებას ვაჩერებ რამდენიმე დღე დასაშრონად, ძალიან ქარზე თუ გაიტან გასაშრობად შეიძლება დასკდეს, ამიტომ ჯობია შედარებით მყუდრო ადგილი შეურჩიო. როცა გახმება ვხსნი ჯოხიდან და ვინახამ ერთად.

სოფ. მერეთი, მთქმელი: მარი წიქარიძე , 36 წლის.

ჩვენი წინაპრები ჭადს სხვანაირად აცხოვდნენ ხოლმე, ეხლა ყველაფერი შეიცვალა, ჭადს ეხლა ზეთიან ტაფაზე აცხოვდენ, ჩემ ბავშობაში დედაჩემი თონეში აკრამდა ჭადს. ჭადის ფქვილს ცარიელა წყალში ზელამდა **არც მარილს უშვრებოდა და არც ცხიმს**, მოზელილ ცომს აგორგოლავებდა და ფორმას აძლმდა, ზედ თითებს ატყობდა ხოლმე და აკრამდა ცხელ თონეში დაბლითა რიგზე, თუ თონე ჩანელეებული იყო **არ გამოდიოდა კარგი მჭადი**.

სოფ. კარალეთი, მთქმელი: თამარ ტერტერაშვილი, 78 წლის.

მალინის მურაბა

ახლად მოკრეფილ მალინას გავრეცხამ თუმფალანგზე, ისე რო **არ დაიჭყლიტოს**. მოვათავსებ ემალის ქვაბში და კილოს, კილოზე ვაყრით პესოკს. ვაჩერებ ორი-სამი საათით ასე სანამ წვენს **არ გამოიღებს** მალინა. ზოგი ცოტა წყალსაც უშვრება მაგრამ მე **არ ვასხამ** წყალს და თავისივე წვენში ვხარშამ. ერთი რომ წამოდულდება ვაჩერებ სანამ გაცივდება დაახლოებით ხუთი-ექვსი საათი, ანდა მეიორე დღემდე, მერე ისევ ვადულებ და ვაცდი დუდილს სანამ წვენი ცოტა **არ შესქელდება**, ამის მერე მზადაა მურაბა, ცხელსავე ვასხამ რეზბიან ბანკებში ანაც ვხუფამ სახუფით და ასე ვინახამ ზამთრისთვის.

სოფ. კარალეთი, მთქმელი: მათა ციცაგი, 48 წლის.

კაკლის მურაბა

კაკლის მურაბასა ყოველდღე ვუცვლი წყალსა რო გავთლი. ჯერ უნდა დაიჩხვლიტოს ეგა, მარა ჯერ უნდა გაითალოს. ვთლი ჯერა მერე ვჩხვლეტავ, ხოდა წყალს ვუცვლი ერთი ცხრა დღე. ცხრა დღე უცვლი წყალსა და მერე ცხრა დღე რო უცვლი მაშინვე ხო პესოკი არ მექნება, ვერი კირიან წყალში კირში ვერი. კირით უნდა გაკეთდეს ეგა რო გამაგრედეს, ხოდა ცხრა დღის შემდეგ შეიძლება კირიდან ამოღება, წყალსა დავასხავ ხოლმე და მერე იი კირიდან, როცა ამოვიღებ კრანქვეშა ვრეცხავ, მაგრა, აი მაგრა უნდა გაირეცხოს რომა ააქ კირსა თავისებური გემო, ერთი ოთხ ჯერ ისე ამოვერი და მერე კრანს მივუშვერ ხოლმე და კარათ ვრეცხავ, ვაყრი პესოკს და ვხარშავ ორ-სამ დღეს ნელ-ნელა.

სოფ. არბო, მთქმელი: კაპანაძე მზიური 74 წლის

სამკურნალო მცენარეები

ბაბუაწვერას შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცოდით, არც ის ვიცოდით თუ ეგ სიმსივნეს შველისო, სიმსივნის უჯრედებს სპობსო, რავიცი რამდენად. ანწლი ხალხო, აი ამას ვიყენებთ, ჩვენ ვაკეთებდით, ხოლმე შაქარს დავაყრით, ვითომ კუჭის აშლილობისთვის, რა კუჭის აშლილობა, იმდენმა წაილო მერე ჩემგან რო იცოდნენ რო ვინახავდი, სიმსივნის წამალია. ქაცვი იმდენი იყო აქ, ხოდა ისა რა ქვია? ჭრიდნენ გოგო აი ასე ტოტებად ჭრიდნენ და ჩაქონდათ, ხო მაგას მოკრეფდნენ ხო და ისე ყიდიდნენ ხოლმე და იმდენი ყიდეს რო აი ეხლა შეიძლება ჰა ერთი ორი სადმე იპოვო და ეგ არის. მერე აქ არი ძალიან ბევრი ისა თავშავა და შავთავა, ისა შავბალახა. მრავალძარღვა ხო ეგ იცის ჩვეულებრივი ამბავია. კულმუხო, ამას ვინახავთ ხოლმე, ვარდკაჭაჭა ულამაზესი ყვავილიცა ააქვს და ისიც არის. გვირილაც გეცოდინებათ. ნაცარქათამა სამკურნალოდ არაა, ისე ბალახათა ხმარობენ. ის იცით კობრჩხილო? ეგეც სამკურნალოა ამბობენ ხოლმე.

სოფ. ქვემოქალა, მთქმელი: ხელაშვილი მზია, 60 წლის.

ამოზელილი ლობიო

ავიღოთ სურვილისამებრ ჯამით ხმელი ლობიო, გავარჩიოთ კარგად, შემდეგ გავრეცხოთ, უმჯობესი იქნება თუ წინა სადამოს შევალბობთ წყალში, თუ არადა გარეცხვის შემდეგ ერთი წამოვადულოთ და გადავუწუროთ წყალი და ისევ დავასხათ წინასწარ სხვა ქვაბში ადუღებული წყალი. ასე ვადულოთ მოხარშვამდე დაბალ ცეცხლზე, სჯობია ნელა მოიხარშოს და არ ავასწრაფოთ, უფრო გემრიელი გამოვა. სანამ მოიხარშება გავამზადოთ სანელებლები შესააკაზმად, გავფრცქვნათ ორი საშვალო ზომის ხახვი, ოთხი კბილი ნიორი, ერთი მუჭა ქინძი, ძალიან ცოტა ნიახური, ქონდარი და მწარე წიწაკა. ხახვი დავჭრად წვრილად და მოვხრაკოთ ზეთიან ტაფაში ზალიან არ უნდა დაბრაწვა, როცა შეოქროსფერდება ეყოფა; მწვანილი და ნიორიც დავჭრათ წვრილად. როცა მოიხარშება ლობიო ამოვზილოთ კარგად და მოვაყაროთ ზემოდან მოხრაკული ხახვი და დაჭრილი მწვანილები სულ ბოლოს გემოვნებით ვუყოთ მარილი და მზადაა.

სოფ. დიდიგარეჯვარი, მთქმელი: მარიკა ჩუხრუკიძე, 44 წლის.

მაწვნის შეყენება

ავადულოთ რძე, დავაცადოთ განელება, როცა განელდება და თითზე ცოტათი უკბენს ჩავასხათ ბანკებში, სათითაოდ ვუყოთ ყველა ბანკაში თითო ჩაის კოვზი მაწვნის დედა და მოვურიოთ, ბევრი მაწონი არ უნდა მჟავე გამოვა. შემდეგ დავაფაროთ სახურავები და შევფუთოთ თბილად. დაახლოებით ორ-სამ საათში უკვე შეყენდება მაწონი.

სოფ. სვენეთი, მთქმელი: ასმათ გოდელაშვილი, 40 წლის.

ჩირის გაკეთება

მე პირადად ჩირს შავი ქლიავისა და ჭანჭურისგან ვაკეთებ, თუმცაღა მარტო ამთგან არ კეთდება, სხვადასხვა ხილისგანაც აკეთებენ. მწიფე ქლიავს პატარა დანით ვჭრი შუაზე და ვაცლი კურკას მერე ფანერკაზე ვფენ მწყობრისად, მერე ვდებ მზიან ადგილზე, რო გამრეს, ნესტიან ამინდში ვერ გამრება დაობება იცის ხოლმე, ამიტო ცხელი ამინდია საჭირო. გასაშრობად ჩირს დაახლოებით ოთხი ხუთი დღე უნდა, გააჩნია ამინდებს. რო გამრება ავაცლით ფანერკიდან და გავფენ რამდენიმე დღე სინზე და ჰაერზე დავდგავ. ბოლოს კი კარდონის ყუთში, ან პლასმასის სეტკაში ჩავყრი და შევინახავ ზამთრისთვის.

–დაახლოებით რამდენი ხანი ინახება ასეთ მდგომარეობაში ჩირი?

–დიდ ხანს არ ინახება, დაახლოებით ერთ წელს სძლებს, მერე ჭიის გაჩენა იცის ხოლმე.

სოფ. ზერტი, მთქმელი: მაია ტიელიძე, 47 წლის.

ტყემლის ტყლაპი

გავრეცხოთ მწიფე ტყემალიუ კარგად და მოვხარშოთ ქვაბში, წყალიუ არ უნდა თითონ გამოიღდბს. როცა მოიხარშება კარგად გადმოვდგათ და გავაციოთ, მერე დავასხათ თუშფალანგზე და გავწუროთ წვენიგან, როცა გაიწურება ეს წვენი, ხელით გავხეხოთ, მივიღებთ სქელ ფაფასავით გახეხვის შემდეგ. მერე სინებზე ბამბით ვუსმევ ზეთს და ამის მერე ვანაწილებ არც სქლად და არც თხელად ამ ფაფასავით წვენს, მერე ვდებ მზიან ადგილას რო გამრეს, ოთხ დღეში შრება და მერე ვაცლით სინიდან ფრთხილად და ვკიდებთ თოკზე ერთი კვირა დაახლოებით, მერე კი ვინახამთ.

სოფ. ზერტი, მთქმელი: ნონა მირაზანაშვილი, 47 წლის.

ლეგენდა

ლეგენდა გოგიაშვილების გვარის წარმოშობის შესახებ

ძველად, სოფელ კარალეთში ძალიან გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობდა, არაფერი არ ებადათ მარტო პატარა ფიცრული სახლი ჰქონდათ. ოჯახი მრავალშვილიანი იყო და ბავშვები ნახევრად შიმშილობდნენ მეტისმეტი გაჭირვებისაგან, სამადლოდ მეზობლებს მიჰქონდათ საჭმელი და ამით სულდგმულობდნენ. ოჯახის უფროსს თურმე გოგია რქმევია, როცა მეზობელს შეეკითხებოდნენ სად მიგაქვს საჭმელიო, ასე იტყოდა „გოგიას შვილებთან მიმაქვსო“ და სწორედ აქედან წარმოშობილა გიგიაშვილების გვარი.

სოფ. კარალეთი, მთქმელი: მარინე გოგიაშვილი, 63 წლის.

ლეგენდა მძინარაშვილების გვარის წარმოშობის შესახებ

მძინარაშვილები ყოფილან ხერხეულიძეები , როცა ერეკლე მეფე მეფობდა მძინარაშვილები სადარაჯოზე ყოფილან და ჩასძინებიათ და ამიტომ მეფე ერეკლეს უთქვია თქვენ ხერხეულიძეები კი არა მძინარაშვილები უნდა გერქვათო და აქედან შეერქვა მძინარაშვილები. მძინარაშვილების გვარი არის კახეთშიც, მაგრამ ეს გვარი აქ მკვიდრი გვარია.

სოფ. დიცი, მთქმელი: მძინარაშვილი გულნარი, 67 წლის.

ლეგენდა სოფელ ალაიანის სახელწოდების შესახებ

სამი ვერსია არსებობს, თათრული: იმით ვითომ ალა ნიშნავს ბატონს და ვითომ ვიღაც სომეხს გაუვლია აქა და ვიღაც ალა ბატონების ვაჭარი ყოფილა, სინამდვილეში აგა ბერძნულად ნიშნავს წმინდა, აგა ნინი, მეოთხე საუკუნიდან არის მოხსენიებული ჩვენი

სოფელი, რაც ქრისტიანობა შემოვიდა არის ალაიანი, წმინდა ნინო, მერე გადასხვაფერდა მერე აქა 400 წელი ირანელებს ეპყრო, როგორც თბილისი, ისე ქართლი და ძირითადად ირანული სიტყვებია, გინა კასპი, კასპი ნიშნავს საქარეთსა, ქსანი კიდე წმინდას ნიშნავს ეს ირანული სიტყვებია წარმოშობით, გადმონაშთებია, ხოდა ეგეთი მასალები არსებობს დანარჩენი აბა რა გითხრათ, **ვერაფერს გეტყვით.**

სოფ. ალაიანი, მთქმელი: ხოდელი ქიტესა 56 წლის.

ამბავი საფანელზე

საფანელი ხო იცით რაც არის დროჟივით, ქალაქელებმა **არ იციან ხოლმე**, ხოდა ჩემი დედამთილი ერთხელ მახსოვს შემოეტანა ჭინჭარი და საფანლით უნდა გაეკეთებინა, ხოდა ისე კარგად მახსოვს ჩემმა მახლის ცოლმა, მოხდა სასწაული და მითხიპნ-მოთხიპნა ცომი, **არ იცოდა ცომის არაფერი** და ამან მიუგდო აბა მე ამას გავაკეთებ და შენ სახაჭაპურე მოზილეო, ამოთათხნული ხელები აქ, გავა ეს ქალი და იძახის, რამიყო რამიყო რას მიშვრება ეს ქალი, ჩაიფშენეტავს, ეს უყურებს მოიშორებს ამ ცომებს, ჩაყრის. დაგვიძახა მოდით აქაო ცომი ისე უნდა მოზილოო რო ნამცეცი **არ დარჩეს**, ჭირნახულიო, რატო ქვია ჭირნახულიო ხალხნო რამდენი ჭირი ნახა ადამიანმაო, ვიდრე ეს მოსავალი ის მარცვალი მოიტანა და მერე ის ფქვილი მოგიტანა შენამდეო” აი როგორი სიტვაა ჭირნახული; და მოჰყვა ესეთ რღაცას. ოღონდ **არ ვიცი** ვისი ქალი იყო. „ქალი იყო მცხოვლიო, აი აქ უზარმაზარი ეზო იყო და ეს ქალიო რო გამოაცხოვდა ერთ თონე პურს ხოარ აცხოვდა შვილო უამრავი , მარტო თავადები და შინა ყმებსაც ხო ჭამა უნდოდათ და ორი სამი თონე პური უნდა გამოეცხო, ცომი უფრო სწორედ თორე თონე რამდენი გამოდიოდა კაცმა **არ იცის** და რო მოზელდო ამ ცომსო მიდიოდა შინ , ახლოვე ცხოვრობდაო კიდე, კაცო უყურებენ უთვლიან ამ ქალსა, პურს **არ იპარავს**, **პური არ მიაქ**, რათ მიდის, მთელი რამდენიმე დღე უყურეს, მერე დაიბარა ამ ბატონმა და უთხრაო ანიჩკოო რათ დარბიხარ სახლში ეგრე წარამარა რა ხდებაო? ობოლი ბავშვები ჰყავდაო ხუთი წვრილი შვილიო, (ეს სიტყვა ისე მომწონს ხოლმე) წვრილშვილებიანი იყო და ტირილი დაიწყო: ბატონოო ნუ გამიწყრებიო პურს რო მოვზელო, ესე ამოიდებდა თურმე წინსაფრის ქვეშა ხელებს, ხელებსო ჯამი მიდგიაო

გობივითო და იქ ჩავიბან ხოლმეო ხელეზსო, იქ ჩავიბანო და მერე საფანელი არა მაქო სახლშიო და საღამოთი რო მივდივარო შექამნდს გავაკეთებ ხოლმეო“. და თქვენ რომ არ იცით ფასი ამ ყველაფრისაო რა ხალხი ხართო ქალმაო თავისი შვილები აი ესე ხელს იბანდა და იმით უკეთებდა საფანელსო. თქმულება არ არის, ნამდვილი ამბავია, აი ჩემი დედამთილისგან მსმენია.

სოფ. ქვემოჭალა, მთქმელი: ხელაშვილი მზია, 60 წლის.

ზედმეტი სახელი

ზედმეტ სახელს მაგალითად მე ჩემზე გეტყვით. პაპაჩემს ხელმწიფეს ეძახდნენ, სამი ბიჭი ჰყავდა, ჰოოდა ერთი გოგო და ნაკვეთი ბევრი ჰქონდა, კერძობასა ბევრი ნაკვეთი იყო ხოლმე და იქ რო სამუშაო რო უნდოდათ პაპაჩემი თურმე გამოვიდოდა, თოხს, თავის წილ თოხ მიაყუდებდა კარებზე, აი ეს იყო მარტო ის არ იყო. კარებზე მიაყუდებდა იმ თოხსა და შვილებს გაირეკავდა და ამუშვებდა და ეს ხლხი რო ჩამაივლიდა ხელმწიფესა სძინამო და ყმები მუშაობენო, მერე მამაჩემს ზედმეტი სახელი წოპა ერქვა. მე ზედმეტი სახელი პახანა მქვია, ეხლა ეგ პახანა როგორ დამარქვეს. ცემენტის ქარხანაში რო ვმუშაობდი მთელი ორმოცდხუთი წელი და იქ რაღაცა ბუქსი უნდა ჩაგვება მანქანისთვის ხეი და იმის ჩასაყრელი არა გვექონდა და მართული უნდა ჩაგვეყარა და შუახნის კაცსა, ზდაროვსა, მაღალსა, მე უთხარი: ვერ იპოვე ი მართული შე პახანავ მეთქი აიქა არა გდია ი მართული? და შემომხედეს ეხლა შენახარ პახანაო თუ ესაო და დამერქვა აქედან პახანა. პახანა პატარას ნიშნავს, უკრაინულად თურმე მამას ნიშნამს. ჩემთან იქ კასპის ცემენტის ქარხანაში რუსი ქალი მუშაობდა მთავარი ბუღალტერი იყო და ის მეუბნებოდა პახანა მამას ნიშნავს უკრაინულადო.

სოფ. თვალადი, მთქმელი: მოდრეკილძე მურადი 72 წლის.